კვირეული ბიულეტენი „ვერსია“ ერთი

ვერსია

№37 (1678) 4 — 10 ოქტომბერი ოთხშაბათი 2023 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

დაგეგმილია პენსიის ზრდა – მთავრობამ პარლამენტს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი გადაუგზავნა

მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პარამეტრები

„თუ აშშ არ ჩაერევა ევროპის გადაწყვეტილებაში, კანდიდატის სტატუსს მივიღებთ!“

როგორ აფასებს რამაზ საყვარელიძე „ოცნების“ 11-წლიან მმართველობას

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

რა ქონებას ფლობს ალეკო ელისაშვილი

მეგობრის ნაჩუქარი ძვირადღირებული იარაღი, მოკრძალებული ბინა და ავტომობილი – პარტია მოქალაქეების დამფუძნებლის ქონებრივი დეკლარაცია

ოკუპაციის 30 წელი...

როგორ შეიქმნა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიები

სუს-ის განცხადება დაგეგმილ რევოლუციურ სცენარზე

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში მიღებული ინფორმაციით, 2023 წლის 25 სექტემბერს, საქართველოში USAID-ის პროგრამის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მოწვევით, ჩამოვიდნენ სერბეთის მოქალაქეები – სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი. აღნიშნული პირები დაკავშირებულნი არიან 2003 წელს, საქართველოში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებთან, სხვადასხვა წლებში, მათ კავშირი ჰქონდათ სერბეთში, უკრაინასა და სხვა სახელმწიფოებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან. ისინი აქტიურად ახორციელებდნენ საპროტესტო მუხტის წარმოქმნის მეთოდიკისა და ძალადობრივი აქციების ჩატარების ტაქტიკის სწავლებას. წარმოადგენენ ორგანიზაცია „კანვასის“ მმართველ რგოლს, აგრეთვე, სინისა სიკმანი და სლობოდან ჯინოვიჩი არიან ორგანიზაცია „ოტპორის“ ყოფილი წევრები, რომელიც სერბეთში წარმოადგენდა ქართული ორგანიზაცია „კმარას“ ანალოგს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოში, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილი რევოლუციური სცენარისთვის გამოსაყენებელი ახალგაზრდული ჯგუფების მომზადების მიზნით, გამოიყენება ორგანიზაცია „კანვასი“, რომლის ბირთვსაც შეადგენს ორგანიზაცია „ოტპორი“. აღნიშნულ ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნებში განვითარებულ რევოლუციურ პროცესებში მონაწილეობისა და ძალადობრივი საპროტესტო აქციების ორგანიზების სწავლების კუთხით.

აღნიშნული პირების საქართველოში ჩამოსვლის გაცხადებული მიზეზი იყო კულტურის სფეროში მოღვაწე ჯგუფებისთვის ტრენინგების ჩატარება „სტრატეგიული არაძალადობრივი ბრძოლის“ საკითხებში, მაგრამ გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზანი მხოლოდ ეს არ იყო. კერძოდ, ვიზიტის რეალური დანიშნულება იყო იმ ახალგაზრდებსა და გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დამყარება და ტრენინგების ჩატარება, რომლებიც საქართველოში, მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაგეგმილი დესტრუქციული მოქმედებებისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ბირთვი უნდა გახდნენ. მათ მიერ, 2023 წლის 26-29 სექტემბერის პერიოდში, თბილისში მდებარე სასტუმროში „იბისი“, მიმდინარეობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტივისტების წარმომადგენლების, კერძოდ, ერთ-ერთი დიდი ჯგუფის გადამზადება, რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობის პროცესების მომზადებასა და განხორციელებაში. აღნიშნულ პირებს ჩაუტარდათ სწავლება, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სამიზნე ჯგუფების, კერძოდ, ხელისუფლების, მართლმადიდებლური ეკლესიის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა უწყებების წინააღმდეგ, ასევე, გზებზე პიკეტების და ხელოვნური საცობების შექმნისა და ადმინისტრაციული შენობების წინ კარვების მოწყობის ტექნიკაზე, როგორ უნდა შეიტანონ მღელვარება ძალოვან სტრუქტურებში, რა ძალადობრივი პასუხი უნდა გაეცეს მათ კანონიერ მოთხოვნებს. მსმენელები შეამზადეს მოსალოდნელი დაკავებების პროცესისთვის და სწავლება ჩაუტარეს ასეთ დროს წინააღმდეგობის გაწევის ხერხებზე, აქციის მონაწილეთა დაფინანსების საკითხებზე, პარლამენტის შენობაში შეჭრაზე, მაუწყებლობის სადგურების გათიშვასა და ძალაუფლების ხელში აღებაზე, საქართველოს კანონიერად არჩეული ხელისუფლების ჩამოშლაზე, რა დროსაც მათ მიერ, შედარებითი ანალიზისთვის მოყვანილ იქნა სერბეთში განვითარებული რევოლუციური პროცესების არაერთი დრამატული მაგალითი.

სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი, 2023 წლის 29 სექტემბერს, ადვოკატებისა და თარჯიმნების თანდასწრებით გამოიკითხნენ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებლების მიერ, რა დროსაც ისინი შეეცადნენ შეენიღბათ მათი საქართველოში ყოფნის რეალური მიზეზი, მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით. აღსანიშნავია, რომ მათი ჩვენებები ეწინააღმდეგება გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებებს და რიგ დეტალებში არის ურთიერთგამომრიცხავიც. სინისა სიკმანი, იელენა სტოისიჩი და სლობოდან ჯინოვიჩი, 2023 წლის 30 სექტემბერს, გაემგზავრნენ საქართველოდან, ბელგრადის მიმართულებით.

წარმოგიდგენთ სინისა სიკმანის, იელენა სტოისიჩისა და სლობოდან ჯინოვიჩის მიმართ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების ნაწილს, რომლის განსაიდუმლოება მოხდა პროკურორის მიერ, საქმეზე მზარდი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

აქვე, საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ორგანიზაცია „კანვასის“ დესტრუქციულ გეგმებზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა განცხადება წინმსწრებად გაავრცელა მიმდინარე წლის 18 სექტემბერს. ამჟამად, საქმეზე მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

26-29 სექტემბერს, USAID-ის დაფინანსებით ჩატარებულ კონფერენციას ორგანიზება „კანვას-საქართველომ“ და აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტმა გაუწიეს. ოთხდღიან სწავლებას აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლები და ე.წ. სამოქალაქო აქტივისტები ესწრებოდნენ.

პოლიციამ გაუპატიურების, ძალადობისა და მუქარის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ლ.მ. გაუპატიურების, ძალადობისა და მუქარის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, სხვადასხვა დროს, ნაცნობ გოგონებთან, მათი ნების საწინააღმდეგოდ დაამყარა სქესობრივი კავშირი, ასევე, მათ არაერთხელ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული მათ მიმართ მუქარასაც ახორციელებდა.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ლ.მ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გაუპატიურების, ძალადობისა და მუქარის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე, 126-ე და 151-ე მუხლებით მიმდინარეობს.

გურიის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი შ.ს. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 28 სექტემბერს, ბრალდებულმა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგოლისუბანში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2000 წელს დაბადებულ ა.ს.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული ჩოხატაურში, სოფელ გოგოლისუბანში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ ახალი აღჭურვილობა გადასცა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM), ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, თანამედროვე სპეციალური აღჭურვილობა – პასპორტის წამკითხველები გადასცა.

აღჭურვილობის გადაცემის ღონისძიება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაიმართა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – ალექსანდრე დარახველიძე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი – სანია ჩელებიჩ ლუკოვაჩი და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელი – ევია კოტანი ესწრებოდნენ. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს არსებული თანამშრომლობის ფარგლებში მიღწეული პროგრესი და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემული უახლესი ტექნიკური საშუალებები საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე განთავსდება და ხელს შეუწყობს სასაზღვრო კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებასა და სამგზავრო დოკუმენტების შემოწმების პროცედურის გაუმჯობესებას, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შესაძლებლობებს უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის მიმართულებით.

აღჭურვილობის გადაცემა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ხელშეწყობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტების – „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE) – ინტეგრირებული საზღვრის მართვა (SAFE IBM)“ და „საზღვრისა და მიგრაციის მართვის ქმედება საქართველოსთვის (BMMAG)“ – ფარგლებში განხორციელდა.

ოკუპაციის 30 წელი...

ვანო პავლიაშვილი

პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად მოხდა, რომ აზერბაიჯანმა დაკარგული ტერიტორია დაიბრუნა. ყარაბაღის პრეცენდენტის ფონზე, ზოგს გაუჩნდა იმედი, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაც შესაძლებელია. ამ მოსაზრებას არსებობის უფლება, რასაკვირველია, აქვს, თუმცა სჯობს, მოვლენებს არ გავუსწროთ. ამ ფონზე, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ ზემოხსენებული ორი კონფლიქტის პერიპეტიებს გავიხსენებთ, მით უფრო, რომ ახლახან, სოხუმის დაცემიდან 30 წელი გავიდა. მაშ, ასე, „ვერსია“ არქივიდან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შექმნასა და სხვა საინტერესო პერიპეტიებზე სტატიას გთავაზობთ.

როგორ შეიქმნა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიები

ბაჩო ალვანელის მიერ, 2005 წლის 11 ნოემბერს დაწერილ სტატიაში ვკითხულობთ:

„აფხაზეთის საქართველოსგან განუყოფლობა ოფიციალურად ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით დამტკიცდა. იმავე წლის მარტში, საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის პერიოდში, ბოლშევიკებმა აფხაზეთი ოფიციალურად გამოაცხადეს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით. ეს ის „დამოუკიდებლობა“ იყო, რომელიც მოგვიანებით, თავად აფხაზთა ლიდერების მხრიდანაც იქნა უარყოფილი, 1992 წლის ივლისში კი, არძინბას რეჟიმმა ყველაფერი ეს, რუსეთის მიერ დაკვეთილი ინსტრუქციების აღსრულებისთვის გამოიყენა... არადა, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ნაციონალური დაპირისპირების ხასიათი 1918-21 წლების დამოუკიდებელ საქართველოშიც არ მიუღია. აფხაზთა ეთნოსს გარეშე სახელმწიფოები აღნიშნული კუთხის საქართველოსგან ჩამოცილებისთვის მხოლოდ საბაბად იყენებდნენ. ასე იყო 1918 წლის ივნისში, როდესაც აფხაზთა გლეხებისა და მუშების ე.წ. „სოლიდარობის“ მიზნით, საბჭოთა რუსეთმა აფხაზეთში ორიათასკაციანი საოკუპაციო ჯარი შეიყვანა, თუმცა საქართველოს იმდრონდელი მთავრობისა და გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დამსახურებით, „დაუპატიჟებელი სტუმრები“ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან მალევე იქნენ გაძევებულნი. იმავე წელს, იმავე აფხაზი ხალხის დახმარების საბაბით, მთელ აფხაზეთში უკვე თურქეთის რვაასკაციანი დესანტი იქნა გადასხმული, მაგრამ გენერალ მაზნიაშვილისა და პოლკოვნიკ თუხარელის აქტიური ძალისხმევით, ოკუპანტები კვლავაც დამარცხდნენ და აფხაზეთი დატოვეს. 1919 წლის თებერვალ-მარტში, ე.წ. „თეთრი რუსეთის“ მოხალისეთა არმიაც შეეცადა, შეჭრილიყო აფხაზეთში გენერალ დენიკინის სარდლობით. ქართული ჯარები თავდაპირველად დამარცხდნენ და გაგრის ოლქი დატოვეს, თუმცა მოგვიანებით, საბჭოელების მიერ, თვით დენიკინისა და მისი არმიის განადგურების შემდეგ, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, გაგრა საქართველოს ფარგლებში იქნა დაბრუნებული“.

1921 წლის თებერვალია... საქართველოს წითელი კალიები შემოესევიან... იუნკრები მშობლიურ მიწა-წყალს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავენ, მაგრამ... წითელი კალიების ურდო მრავალრიცხოვანია და... თბილისის თავზე ბოლშევიკური დროშა ფრიალებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო საბჭოთა რუსეთის მიერაა ოკუპირებული... 1921 წლის მარტში, რუსული ხიშტით ზურგგამაგრებული აფხაზი ბოლშევიკები აფხაზეთს დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად აცხადებენ, რომელიც მათივე მოთხოვნით, რუსეთის ფედერაციაში უნდა შევიდეს. მანამდე, კერძოდ, 1921 წლის 10 თებერვალს კი, გაზეთ „პრავდაში“ სტალინის წერილი ქვეყნდება, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ოსები, აფხაზები და სომხები იჩაგრებიან. ამასთან, იოსებ ბესარიონის ძე მიუთითებს, რომ საქართველო თავის ტერიტორიებს მეზობელი სომხეთისა და თურქეთის ხარჯზე აფართოებს. „ამიტომ, ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, აღდგეს მათი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი“, – ქადაგებს სტალინი და მას კვერს სერგო ორჯონიკიძეც უკრავს, რომლის ხელმძღვანელობითაც, 1921 წლის 28-29 მარტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ბათუმში აფხაზეთის რევკომის ლიდერებს – ეშბასა და ლაკობას შეხვდებიან. ამ შეხვედრაზე საგანგებო დადგენილებას მიიღებენ და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებას მოიწონებენ. 1921 წლის 21 მაისს, საბჭოთა საქართველოს მთავრობა, რომელსაც ფილიპე მახარაძე მეთაურობს, აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“ აღიარებს და... ამის შემდეგ, მთელი ათი წლის განმავლობაში ანუ 1921-დან 1931 წლამდე, აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად იწოდება. მაშასადამე, წითელ საქართველოში ოფიციალურად ორი, იმდროინდელი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, თანაბარუფლებიანი რესპუბლიკა ჩამოყალიბდება, რაც აპრიორი, პოლიტიკური და სამართლებრივი ნონსენსია.

„საბედნიეროდ, ამ დანაშაულს მალევე მიხვდნენ თავად ქართველი კომუნისტები. თუ თავიანთი ქვეყნის ერთიანობა სურდათ, აფხაზეთი კვლავინდებურად უნდა დაეკავშირებინათ საქართველოსთვის. თუ ეს მოხდებოდა, საქართველო-აფხაზეთის სახელმწიფოებრივი კავშირის ფორმაც გამოსაძებნი იქნებოდა. აფხაზეთი ხომ უკვე დამოუკიდებელ რესპუბლიკად იყო გამოცხადებული და ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს ვინღა აკადრებდა. სხვა რა გზა უნდა გამოენახათ, ფედერაცია? კონფედერაცია? საბოლოოდ, შეჩერდნენ „სახელშეკრულებო“ რესპუბლიკაზე. აღნიშნული აზრი მალე თვით აფხაზი ხელმძღვანელების მიერაც იქნა მოწონებული, რაც მთელი რიგი სუბიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. კერძოდ, თუ აფხაზეთი რუსეთის ფედერაციაში შესვლას დაჟინებით მოითხოვდა, საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში მას მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭებას ჰპირდებოდნენ. ქართული მხარე კი საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში მას ფედერაციის სტატუსს სთავაზობდა, რაც ორი საფეხურით მაღალი იყო, ვიდრე რუსული მხარის შეთავაზებული პირობები“, – ნათქვამია ბაჩო ალვანელის ზემოხსენებულ სტატიაშია.

ყველაფერ ამის პარალელურად, დღის წესრიგში ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის გაერთიანების საკითხი დგება, თუმცა აფხაზური მხარე კატეგორიულად მოითხოვს, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ამ გაერთიანებაში საქართველოს გვერდის ავლით, ესე იგი, მეოთხე წევრად შევიდეს, მაგრამ ამ მოთხოვნას რუსეთის კომპარტიის კავკასიის ბიურო აიგნორებს და გამოდის ინიციატივით, რომ საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აფხაზეთის რესპუბლიკებს შორის სამხედრო სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ-ეკონომიკური ხელშეკრულება დაიდოს, რომლის მიხედვითაც, ამ ორი რესპუბლიკის სამხედრო, საფინანსო, სოფლის მეურნეობის, ფოსტა-ტელეგრაფის, იუსტიციის სამინისტროები და სხვა უწყებები გაერთიანდებიან. კომპარტიის ამიერკავკასიის ბიუროს ეს ინიციატივა ძალაში 1921 წლის 16 დეკემბერის დადგენილებით შედის. მოგვიანებით, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა შეიქნება, რომელშიც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი წევრიანდებიან. ამავე რესპუბლიკაში აფხაზეთიც საქართველოსთან ერთად შედის და... საქართველოს რევკომი აფხაზეთის რევკომს თავისი ადგილების ერთ მესამედს უთმობს.

1922 წლის 2 მარტს, საქართველო-აფხაზეთის ეს გაერთიანება ოფიციალურად საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც დაფიქსირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში აფხაზეთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისგან განსხვავებით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით შედის. სხვათა შორის, სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი ავტონომიურ რესპუბლიკადაა მოხსენიებული. საბჭოთა რუსეთს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში თავისი წარმომადგენლები ჰყავდა. ასევე, თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ ამ რესპუბლიკებს რუსეთში. რუსეთსა და აფხაზებს შორის კი წარმომადგენლები არ გაცვლილა...

ასე და ამგვარად, 1921 წლის მარტში, აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. მერე, დრო რომ გავა, ეფრემ ეშბა და ნესტორ ლაკობა, რომლებიც აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისთვის ბრძოლის მეთაურებად მოგვევლინებიან, ამ ფაქტს დროებით მოვლენას უწოდებენ...

1931 წელს, აფხაზეთის „სახელშეკრულებო“ რესპუბლიკა საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპულიკად ოფიციალურად გარდაიქმნება.

„ეს სტალინისა და ბერიას მიერ, აფხაზეთის საკითხის ლენინური გადაწყვეტის წინააღმდეგ გალაშქრება კი არა, არამედ, წინათ დაშვებული შეცდომის დიდი გამოსწორება იყო. ამას აფხაზეთის მოსახლეობის პროტესტი არ მოჰყოლია“, – ნათქვამია ბაჩო ალვანელის სტატიაში.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური დემონების მიზანმა საშუალება გაამართლა – საქართველოს ისტორიულ მიწაზე წითელი ნალმი ჩაიმარხა, რომელიც ზუსტად 60 წლის შემდეგ ანუ 90-იანი წლების დასაწყისში გააქტიურდება და... უნდობარი ხანი უხვად მოიტანს სისხლსა და ცრემლებს... ომი, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში ძმათამკვლელის სახელით შევა, 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყება. ისე, წლების განმავლობაში, ამ ომს რატომღაც ქართულ-აფხაზურ ომს ვეძახდით, არადა, იმთავითვე ნათელი იყო, რომ ეს სისხლიანი კონფლიქტი ჩრდილოეთის კისერზეა! დიახ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები კრემლის წაფითილებით დაიწყო ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სოხუმსა და ცხინვალში სეპარატისტულ მოძრაობებს საფუძველი ჯერ კიდევ საუკუნის წინ, სწორედ რუსმა და გარუსებულმა ქართველმა ბოლშევიკებმა ჩაუყარეს და... ამასობაში, 1992 წლის 14 აგვისტოც დადგება.

ქართულ „ვიკიპედიაში“ ვკითხულობთ:

„1992 წლის 14 აგვისტოს, დილის შვიდ საათზე, საქართველოს შინაგანი ჯარების კოლონამ ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთა. ამის შესახებ ინფორმირებული იყო აფხაზეთის ხელმძღვანელობა და ეს ოპერაცია კომუნიკაციების დაცვას ითვალისწინებდა, თუმცა აშკარა იყო, რომ ამ აქციით სახელმწიფო საბჭო ავტონომიულ რესპუბლიკაში სეპარატიზმის განეიტრალებას ცდილობდა. საქართველოს პოლიციას მიუძღოდა სოხუმის ბატალიონი, სოსო ახალაიას მეთაურობით, რომელიც სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის შემდეგ უბრუნდებოდა დისლოკაციის ადგილს. შემდეგ მიდიოდა შენაერთი თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის, დავით ზეიკიძის მეთაურობით... მეორე შეტაკება გულრიფშის რაიონის დასახლება აგუძერაში მოხდა, რომლის დროსაც განადგურდა ქართველთა ერთი ჯავშანმანქანა. შეტაკება მოხდა აგრეთვე, გულრიფშის რაიონ სოფელ მაჭარასთან, სადაც დაიჭრა ერთი ქართველი და დაიღუპა აფხაზი მებრძოლი... პირველი გასროლა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან მოხდა. კონფლიქტი დაიწყო“.

აფხაზეთის ომამდე კი იყო სამაჩაბლოს ომი და, როგორც აფხაზეთში, სამაჩაბლოშიც ნალმი წითლებმა ჩადეს.

როგორ შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი

ისტორიული წყაროების თანახმად, 1921 წლის 25 თებერვალს, წითელი არმიის ნაწილები, ორჯონიკიძისა და კიროვის

დასასრული მე-8 გვერდზე

„თუ აშშ არ ჩაერევა ევროპის გადაწყვეტილებაში, კანდიდატის სტატუსს მივიღებთ!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

როგორ აფასებს რამაზ საყვარელიძე „ოცნების“ 11-წლიან მმართველობას

„ქართული ოცნების“ დაარსებიდან 11 წელი გავიდა. მშვიდობის შენარჩუნება, ქვეყნის დემოკრატიული სვლა, წინსვლა ევროინტეგრაციის გზაზე, ეკონომიკური განვითარება და ფუნდამენტურად შეცვლილი სოციალური პოლიტიკა – მმართველ პარტიაში საკუთარ მიღწევებზე საუბრობენ. „გარდატეხა სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე“ – ასე აფასებს „ქართული ოცნების“ დაფუძნებას პრემიერ-მინისტრი. ირაკლი ღარიბაშვილმა სოციალურ ქსელში ვრცელი განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ სწორედ მმართველი პარტიის გადაწყვეტილებების შედეგად, ქვეყანამ არაერთი საფრთხე აირიდა. „ქართული ოცნება“ საგარეო მიმართულებით მთავარ მიღწევებად ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას, ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, უვიზო მიმოსვლასა და საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭებას ასახელებს. მმართველი გუნდი ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინშია.

„ქართული ოცნების“ 11 წლის იუბილეს ოპოზიციაც აფასებს და ქვეყნის უკუსვლაში ადანაშაულებს. ოპოზიციის განცხადებით, ხელისუფლებამ ქვეყანას ქართველების უცხოეთში მასშტაბური გადინება და მათ ნაცვლად, ოკუპანტების შემოდინება მოუტანა. „ოცნების“ 11 წელს „ვერსიასთან“ ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე აფასებს:

– შესაფასებლად მარტივი ერთი ადამიანის ცხოვრებაც კი არაა, არათუ ამხელა ჯგუფის, რომელსაც ხელისუფლება აბარია, მაგრამ საიდანღაც უნდა დავიწყო და რამდენიმე პოზიტივს აღვნიშნავ.

აღარ არის ძალადობა, ამ სიტყვის იმ გაგებით, რითაც ცნობილი იყო სააკაშვილის ხელისუფლება. კერძოდ, ციხე, როგორც ძალადობის ფორმა – ციხეებში მოსახლეობის საკმაოდ მაღალი პროცენტი იყო დატყვევებული და იქაური პირობები, როგორც ძალადობის უმკაცრესი გამოვლინება; საკუთრებასა და სიცოცხლეზე ძალადობა... „ორი გვამი მინდა“ – გვახსოვს მერაბიშვილის ეს ფრაზა, როცა გვამი ხდებოდა პოლიტიკის ინსტრუმენტი.

კიდევ ერთი ასპექტი ძალადობის გარდა – სიფრთხილე და კონფლიქტების არიდება საგარეო პოლიტიკაში, რაც გამოიხატა, მაგალითად, ბოლო ხანებში, „მეორე ფრონტის“ თემასთან კავშირში. ყველა ამბობდა და მეც დავეთანხმები, ეს საკითხი რომ წამოჭრილიყო სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ალბათ, კონფლიქტში აღმოვჩნდებოდით ჩაბმულნი.

ამავე დროს, ბალანსის შენარჩუნება, რომ მოძალადე რუსეთს არც ძალადობის და არც კმაყოფილების საბაბი მისცე, თუმცა რუსეთი მაინც კმაყოფილია, რომ საქართველო არ ჩაერთო მეორე ფრონტის გახსნით უკრაინის კონფლიქტში.

რუსეთის გაუბრაზებლობის პოლიტიკამ წარმოშვა ქვეყანაში და ნაწილობრივ ქვეყნის გარეთაც კითხვა – „ოცნება“ მიიწევს რუსეთისკენ? მიმაჩნია, რომ არათუ „ოცნება“, არამედ, გაცილებით ძლიერი ქვეყნებიც კი, მაგალითად, ჩინეთი არ მიიწევს მისკენ, რადგან რუსეთი მომხიბვლელი აღარაა. რომ ამბობენ, ეშინიათ რუსეთის და ამიტომ უთმობენო, არც დათმობის ნიშნები ჩანს, რადგან რუსეთისთვის დათმობა, ალბათ, უფრო ბევრ ცხად ფაქტში გამოიხატებოდა. ისიც კი ვერ დასაბუთდა, რომ საქართველოში, სანქციების გვერდის ავლით, რამე ტრანზიტი კეთდება. უცხოური პროფესიული და არაპოლიტიკური ჯგუფები აღნიშნავენ, რომ საქართველო იცავს სანქციებს.

რაც შეეხება უცხოურ და შიდა პოლიტიკურ ჯგუფებს, „ოცნების“ კრიტიკოსი ძალიან ბევრია რუსეთთან ურთიერთობის ნაწილში იმდენად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, მოგვცემენ თუ არა კანდიდატის სტატუსს. ალბათ, აქედან უკვე იწყება „ოცნების“ შეცდომების ნუსხა, რადგანაც „ოცნებამ“ შიდა და საგარეო პოლიტიკურ სივრცეში ვერ შეძლო იმ იმიჯის შექმნა, რომ ასეთი კითხვები არ გაჩენილიყო.

გავიხსენოთ – სააკაშვილმა მთელი სტრატეგიული ობიექტები დაუთმო რუსეთს, ოღონდ უცხოელებს არ აქვთ კითხვა, რუსეთზე მუშაობდა თუ არა სააკაშვილი... აღიარებენ, რომ სააკაშვილი აჰყვა პროვოკაციას, ან ზოგის აზრით, წამოიწყო 2008 წლის ომი, რომელიც მხოლოდ რუსეთს აწყობდა, მაგრამ იმას მაინც არ ამბობენ, რომ სააკაშვილი რუსეთის ინტერესებით მოქმედებდა. მოვლენები უფრო მკვეთრია სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, რომ სააკაშვილისთვის დაებრალებინათ რუსული ორიენტაცია, მაგრამ არ აბრალებდნენ. გაცილებით ნაკლებია ანალოგიური მოვლენებია „ოცნების“, მაგრამ ამას აბრალებენ.

დაგეგმილია ჩინეთიდან ტრანზიტის გამოვლა კავკასიაზე, მათ შორის, საქართველოზე. ეს ტრანზიტი ადრე გადიოდა რუსეთზე და რუსეთი დაინტერესებულია, რომ ეს პროექტი ჩაიშალოს. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებას რუსული პოლიტიკის გატარება რომ ჰქონდეს გეგმაში, ჩაერეოდა უკრაინის ომში და აქ მოაწყობდა არეულობას. ამით რუსული გეგმა იქნებოდა შესრულებული, რადგან ომის ტერიტორიაზე სავაჭრო სატრანზიტო ხაზები არავის გაჰყავს. ასე რომ, იქ ომი აწყობდა რუსეთს და მოხდა, აქ ომი აწყობდა რუსეთს და არ მოხდა.

გავაგრძელებ ხარვეზებზე საუბარს – ის, რომ ეს არ ფასდება, როგორც „ოცნების“ არარუსული პოლიტიკა, რადგან დღეს უკვე პროევროპულობაც ცოტა საკმარისი არაა... ეს საქართველოშია, რომ ორ პოლიტიკურ ხაზს განიხილავენ – ევროპულს და რუსულს. სხვა ხაზებიც არსებობს საქართველოსთვის და ეს რომ შეფასებული არ არის უცხოეთის სივრცეში, უდავოდ ხარვეზია.

– რომელ „სხვა საგარეო ხაზებს“ გულისხმობთ?

– ესაა ჩინური ხაზი, ჩინეთთან დაწყობილი ურთიერთობა, რაც შეუძლებელია მომხდარიყო საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობის გარეშე. ჩინეთი ძალიან საინტერესო ალტერნატივაა იმ მხრივაც, რომ ხაზგასმით გაცხადებული აქვს, არ შედის არც ერთ ალიანსში სხვა ქვეყებთან, მათ შორის, რუსეთთან და ჩვენთვის ეს საინტერესოა იმით, რომ რუსეთს ეშინია ჩინეთის. 20 მილიონზე მეტი ჩინელია რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ რუსეთს საყვედური ჩინეთის მიმართ არ წამოსცდენია, რადგან მისი ეშინია.

– ბატონო რამაზ, რატომ არა პროევროპული და პროამერიკული კურსი და რატომ პროჩინური? რატომ სჯობს ჩინეთი დასავლეთს, რომლისკენაც საქართველოს უკვე აღებული აქვს კურსი კონსტიტუციის გარანტიითაც?

– ალტერნატიულად არ მითქვამს, უბრალოდ, დივერსიფიკაციაზე ხომ არის ლაპარაკი, რომ გვქონდა რამდენიმე ხაზი. უდავოდ, პროევროპულ ხაზზე მივდივართ, მაგრამ ჩინურმა ხაზმა, შეიძლება, ხელი შეგვიწყო ევროპისკენ სვლაში.

– რა კონტექსტში?

– იმ კონტექსტში, რომ ჩინეთიდან ტრანზიტით ტვირთები ევროპაში მიდის. ამდენად, ევროპა ხდება დაინტერესებული, რომ ჰარმონიული ურთოერთობა გვქონდეს ჩვენ და ჩინეთს და თავადაც ჩაერთოს ამ ურთიერთობაში, რათა გააკონტროლოს სატრანზიტო ხაზი. თუ აშშ არ ჩაერია, ევროპა დაინტერესებული იქნება, მოგვცეს კანდიდატობა და წევრობა სწორედ იმიტომ, რომ არსებობს ეს ჩინური პროექტი.

– რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ თუ აშშ არ ჩაერია..?

– ჩინეთი აშშ-სთვის კონკურენტია, რადგან შემოსავლის მხრივ, ხან ერთია მსოფლიოში პირველი და ხან – მეორე. ევროპა კი ჩინეთს კონკურენტად არ აღიქვამს.

– წლებია, აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ახლა ჩინეთის ანუ როგორც ამბობთ, მისი კონკურენტის სტრატეგიულ პარტნიორად გამოცხადება თეთრი სახლისთვის მისაღები იქნება?

– თვითონ აშშ არის ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორი, ასე რომ, ეს სტრატეგიული პარტნიორობა არ ქმნის ისეთ პირობებს, ულაპარაკოდ გეჭიროს ერთი, რომელიმე მხარე. ესეც ჩვენი თავისებურებაა, თუ

დასასრული მე-5 გვერდზე

„თუ აშშ არ ჩაერევა ევროპის გადაწყვეტილებაში, კანდიდატის სტატუსს მივიღებთ!“

მე-4 გვერდიდან

ევროპაზე ან აშშ-ზე რამე კრიტიკული თქვი, როგორ შეიძლება?! ასეთი სიტუაცია არსად არაა, რომ რომელიმე პარტნიორ უცხო ქვეყანაზე არ შეგეძლოს რამე კრიტიკულის თქმა. მეჩვენება, რომ საბჭოთა გადმონაშთია, როცა პარტნიორში ვგულისხმობთ იმას, თუ ვისი ვართ. ასე, რუსეთის ვიყავით და ამიტომ, რუსეთზე ცუდის თქმა არ შეგვეძლო და ახლა თუ აშშ-ის ვართ, მასზე ცუდის თქმა არ შეგვიძლია? ცუდის თქმა ყველაზე შეიძლება, თუკი არგუმენტირებული იქნება და მოტივირებული... ყოფილი პროკურორის საქმე წამოწია, ფაქტობრივად, ამერიკულმა მხარემ და შედეგი რა გამოიღო – უფრო ძლიერი პოლარიზაცია, ვიდრე იქამდე იყო ანუ დესტაბილიზაციისკენ მიდის პროცესი, როცა აშშ ერევა პროცესებში ისე, რომ არ არის ამ პროცესებში გარკვეული... აშშ-ს არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რა მოჰყვებოდა ამ ამბავს.

– და რა მოჰყვება?

– არაფერი, დაიწყო გამოსვლები და შეტევა ხელისუფლებაზე ოპოზიციის მხრიდან, რამაც შეიძლება, ისევ გააჩინოს დესტაბილიზაციის კერა...

– იმას გულისხმობთ, რომ თუ პრობლემა არსებობს, ამაზე საერთოდ გაჩუმება სჯობს, რადგან დესტაბილიზაცია არ დაიწყოს?

– აპოლიტიკურ რუსთაველს მოვიშველიებ: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“... სამედიცინო პრაქტიკაშიც დგას ეს საკითხი, უნდა ვუთხრათ თუ არა ადამიანს, ონკოლოგიური დაავადება რომ აქვს, თუკი ამის თქმით, ის პანიკის გამო გარდაიცვლება. სიმართლეს რომ ვამბობთ, უნდა გვქონდეს სრული სურათი, რა მოჰყვება ამას. სიმართლის თქმასაც თავის დრო და მომენტი აქვს. აშშ ყოველთვის ვერ ახერხებს გაუწიოს ანგარიში იმას, რას რა მოჰყვება, მაგრამ ჩვენი ამოცანაა, მოვახერხოთ ამ ტიპის შეცდომებისგან თავის დაცვა...

– რადგან საგარეო პოლიტიკაზე საუბრობთ, როგორია თქვენი პროგნოზი – „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში მიიღებს საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს?

– ვვარაუდობ, რომ თუ აშშ არ ჩაერევა ევროპის გადაწყვეტილებაში, თითქმის გარანტირებულად ვამბობ, რომ მიიღებს, რადგან გვახსოვს, როგორც კი ჩინური პროექტი გამოჩნდა, შოლცმა თქვა, ევროპა უნდა გაფართოვდეს თბილისამდეო. თუ აშშ ჩაერია და სცადა ტრანზიტის ხაზზე ზემოქმედება, შეიძლება, ევროპას გაუჭირდეს ამ ნაბიჯის გადადგმა და ყველამ იცის, რომ თუ კანდიდატის სტატუსი არ მიეცემა საქართველოს, ქუჩა აიფოფრება და დაიწყება დესტაბილიზაცია.

– მიგაჩნიათ, რომ ეს საკითხი გამოიყვანს ხალხს ქუჩაში და სერიოზული პროსტესტის საბაბი გახდება?

– საკითხავია, რას ნიშნავს სერიოზული პროტესტი. 2003 წელს, სააკაშვილმა 30 000 კაცი გამოიყვანა ქუჩაში, მეტი კი არა და ხელისუფლება შეცვალა. ახლა იგულისხმება, რომ ლამის მთელი მოსახლეობა თუ გამოვიდა, ეს იქნება სერიოზული პროტესტი. სერიოზული იქნება ყველა პროტესტი, რომელიც სერიოზულ შედეგს გამოიღებს.

– სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილმა ცოტა ხნის წინ გაავრცელა განცხადება, რომ ის მალე პოლიტიკურად გააქტიურდება ხელისუფლების დასამარცხებლად...

– მან აქტიურობის ეტაპი გვანახა, მაგრამ დიდი გავლენა ვერ მოახდინა და ახლა მით უმეტეს გაუჭირდება, რადგან მისი გააქტიურების მსურველები აღარც ოპოზიციაში იქნებიან.

– რას გულისხმობთ?

– ლიდერი ახლა ოპოზიციაში უფრო მეტია, ვიდრე ადრე იყო და თუ გააქტიურდება, მაშინ მათ ლიდერობა სააკაშვილს უნდა დაუთმონ. თქვა კიდეც სააკაშვილმა რაღაც ანალოგიური, მე ვარ ძირითადი ოპოზიციონერიო. ჰოდა, არიან დაინტერესებულნი ეს პოლიტიკური ლიდერები, რომ გვერდზე გაიწიონ და სააკაშვილი დააყენონ ლიდერად ისე, რომ არ ჰქონდეთ ხელისუფლების შეცვლის გარატია?! სააკაშვილი მაინც მიდის ხელისუფლების შეცვლის რევოლუციური სცენარისკენ და რევოლუციური სცენარი სანდო არ არის. რევოლუციური სცენარით მან შევარდნაძის ხელისუფლება კი შეცვალა, მაგრამ შევარდნაძე გადადგა, თორემ რომ არ გადამდგარიყო, ქუჩაში ხალხის ყოფნა არ არის იმის ინსტრუმენტი, რომ ხელისუფლება შეცვალო. ხავერდოვანი რევოლუციების ძირითადი მექანიზმია, თუ შეიძლება ითქვას, ხელისუფლების დანამუსება, რომ ამდენი უკმაყოფილოა ქვეყანაში და გადადექი. თუკი არ გადადგება, მაშინ ხავერდოვანი რევოლუციის მეთოდი ქუჩაში ყოფნისა, არაფრის მომცემი იქნება.

– მოახლოვდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები და ბევრი, მათ შორის, ოპოზიციის მომხრე ექსპერტიც აცხადებს, რომ ოპოზიცია ვერ არის სათანადოდ აქტიური და ძლიერი ხელისუფლების შესაცვლელად. თქვენ როგორ აფასებთ ოპიზიციის შანსებს?

– ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ოპოზიცია ვერ არის ძლიერი და უნდა ვთქვათ, რითია სუსტი... სუსტია იმიტომ, რომ მხარდამჭერები ჰყავს ცოტა... თავად ოპოზიციას არ გამოუკვლევია ამის მიზეზი არასდროს, თორემ ეს რომ შეესწავლა, დაადგენდა, რომ არიან პიროვნებები, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელთა ხშირი გამოჩენით, ოპოზიციის რეიტინგი ეცემა.

დაადგენდა იმასაც, რომ რევოლუციური განვითარება ქვეყანას აღარ აწყობს და პედალირება რევოლუციაზე, აგრეთვე, ძირს აგდებს ოპოზიციის რეიტინგს. გამოკვლევებით დაადგენდა იმასაც, რომ „მეორე ფრონტის“ გახსნა ადამიანების უმრავლესობას არ აწყობს და ასეთი პედალირება – ღირსების საკითხია ჩვენი ასე პასიურად ყოფნა – ირიბი ბიძგია „მეორე ფრონტის“ გახსნისკენ... ესეც ამცირებს ოპოზიციის რეიტინგს.

– აშშ-მ არაერთხელ განმარტა, რომ არასდროს მოუთხოვია საქართველოსთვის „მეორე ფრონტი“ და არის მოსაზრება, რომ ეს საკითხი რუსული პროპაგანდის ნაწილია...

– ამაზე გავიღიმებ, რადგან ეს კელი დეგნანის ლაიტმოტივი იყო – „რუსული პროპაგანდა“. გავიხსენებ, რომ პედალირება ხდებოდა მეორე ფრონტის მოთხოვნით, უკრაინის მხრიდან. პრეზიდენტის, პოდოლიაკის მხრიდან და ა.შ. რჩევასაც გვაძლევდნენ, რუსული ჯარები ჩვენკენაა და შედით აფხაზეთსა და ოსეთშიო...

– ბატონო რამაზ, „ოცნების“ 11 წლის შესაჯამებლად გკითხავთ – საზოგადოების ნაწილს უჭირს სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით და ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი... ამ ვითარების გათვალისწინებით, რა შანსი აქვს „ოცნებას“ მოახლოებულ არჩევნებში?

– ხელისუფლებას აქვს შანსი, ოპოზიციის სახით. ხელისუფლებაზე უკმაყოფილო მოსახლეობამ ვიღაც ხომ უნდა აირჩიოს? არ გამოიყურება ოპოზიცია დღეს საიმისოდ, რომ მას მიანიჭონ უპირატესობა. მინუსები ორივე მხარეს აქვს – ოპოზიციას და ხელისუფლებას, მაგრამ მინუსების რიცხვი, მაინც უფრო ნაკლებად მტკივნეული, ჯერჯერობით, ხელისუფლებას აქვს. აი, საკმარისია, რომ ყბადაღებული მესამე ძალა გამოჩნდეს ანუ ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც არც ხელისუფლების მინუსები ექნება და არც – ოპოზიციის, მაშინ, ის აიღებს ხმებს და დაკმაყოფილდება მოსახლეობის ის დიდი პროცენტი, რომელსაც არ აწყობს არც ერთი და არც – მეორე მხარე.

– არის ახლა ის მომენტი, როცა მესამე ძალის გამოჩენას უნდა ველოდოთ?

– ახალი ძალა თუ გამოჩნდება, დრო ცოტაა საიმისოდ, რომ მოიპოვოს ავტორიტეტი. არის ერთი შანსი, რომელიც საკმაოდ ხშირად მეორდება საქართველოში – მმართველი პარტიის ორად გაყოფა.

– და ეს „მესამე ძალა“ როგორ გამოვა?

– გამოვა... მასეთი დაყოფების შედეგი იყო, შევარდნაძეს რომ გამოეყო სააკაშვილი. სააკაშვილი 9 წელი იყო შევარდნაძესთან, პოპულარობა იმასთან მოიპოვა და იმიტომაც გადავიდა ადვილად ხალხი სააკაშვილის მხარეს და ა.შ.

ასე რომ, ასეთი დაყოფები არ ნიშნავს, ორი მხარე ერთმანეთს გუნდრუკს დაუკმევს, პირიქით, როცა ალტერნატიულები იქნებიან, გახდებიან კრიტიკულებიც, მაგრამ შანსი, რომ ყურადღება მიიქციონ მოსახლეობისგან ამ მოკლე პერიოდში, უფრო მეტია.

დაგეგმილია პენსიის ზრდა – მთავრობამ პარლამენტს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი გადაუგზავნა

მაკა რუხაძე

მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პარამეტრები

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა, განათლება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა, ძალოვან უწყებებში დასაქმებულ და სხვა საჯარო პირთა ხელფასების ზრდა, ტურისტული და ინფრასტრუქტურული პროექტები კვლავ ხელისუფლების პრიორიტეტებად რჩება მომდევნო წელსაც. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი – 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უკვე გადაგზავნილია. შესაბამისად, პარლამენტში ბიუჯეტის განხილვა დაიწყო. რომელ სახელმწიფო უწყებებს ეზრდებათ დაფინანსება, როგორია მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა მომდევნო წლის განმავლობაში, რა პრიორიტეტები იკვეთება ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში და რა არის მთავრობის მთავარი ეკონომიკური გზავნილი 2024 წელს – სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე. მისი თქმით, ბოლო ორი წლის მანძილზე, ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდა გვქონდა და მესამე წელია, ეკონომიკის მაღალი ტემპით ზრდას ვაგრძელებთ.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2024 წლის ბიუჯეტის პირველი ვარიანტი პარლამენტს გადაეგზავნება.

„მინდა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივაწოდო საზოგადოებას. მანამდე, კიდევ ერთხელ, ერთგვარად შევაჯამოთ ბოლო წლების ეკონომიკის ტენდენციები. იცით, რომ ძალიან ძლიერი ეკონომიკური ზრდა გვქონდა ბოლო ორი წელი და მესამე წელია, ვაგრძელებთ ეკონომიკის მაღალი ტემპით ზრდას – წელს, 7%-იანი ეკონომიკური ზრდაა მოსალოდნელი. ჩვენ ბიუჯეტი დავაკორექტირეთ და წელს, 6.5%-ზეა ნავარაუდევი ეკონომიკის ზრდა, თუმცა თავიდან იყო დათვლილი ძალიან კონსერვატიულად, 5%-ზე იყო გათვლილი. მინდა, აღვნიშნო, რომ რვა თვეში, ეკონომიკის ზრდა შეადგენს 7%-ს. რა თქმა უნდა, ყველა იმ ფაქტორებისა და გარემოებების გათვალისწინებით, რაც მიმდინარეობს მთელ მსოფლიოსა და რეგიონში, ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესია“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა განაცხადა, 2012 წელს, ბიუჯეტი 8.5 მილიარდი ლარი იყო, 2024 წელს – ნაერთი ბიუჯეტი 27 მილიარდ 800 მილიონი ლარი იქნება. მისი თქმით, ბიუჯეტი გასამმაგებულია, რაც ძალიან სასიხარულო ფაქტია ყველასთვის. მთავრობის გათვლებით, 2024 წელს, დეფიციტი – 2.5%, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში – 38.2% იქნება.

„რაც შეეხება 2024 წლის ბიუჯეტს, საკმაოდ კონსერვატიული მიდგომითაა დაგეგმილი. ჩვენ ჩადებული გვაქვს ეკონომიკის 5.2%-იანი ზრდა. საშუალოვადიან პერიოდშიც რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-ია; საშუალო ინფლაციის პროგნოზი მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში 2.8%-ს შეადგენს; ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 85 მილიარდ 370 მილიონი ლარია; მთლიანი შიდა პროდუქტი იქნება 85 მილიარდ 370 მილიონი ლარი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პროგრესია. აქვე, შედარებისთვის, მინდა გავახსენო საზოგადოებას, რომ 2012 წელს, როდესაც ჩვენ ჩავიბარეთ საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა, მათ შორის, ბიუჯეტი, დაახლოებით, 8.5 მილიარდი ლარი გახლდათ და მაშინ მთლიანი შიდა პროდუქტი, 27 მილიარდამდე იყო. თითქმის გასამმაგებულია ბოლო 11-12 წელიწადში და 85 მილიარდზე მეტი იქნება მშპ. ეს ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, 8 600 დოლარს გადააჭარბებს გაისად. წელს 8100 დოლარი იქნება უკვე და წლევანდელი ბიუჯეტიც, იცით, რომ საკმაოდ ამბიციური იყო. ასევე, გეტყვით იმასაც, რომ 2027 წლისთვის, ჩვენი პროგნოზით, მშპ იქნება 108 მილიარდი ლარი, რაც ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, თითქმის 11 000 დოლარს მიაღწევს. აქვე, მაგალითისთვის, საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ 2012 წელს, ბიუჯეტი 8.5 მილიარდი ლარი, ხოლო 2024 წელს, ნაერთი ბიუჯეტი 27 მილიარდ 800 მილიონი ლარი იქნება. შედარებისთვის, იყო 8.5 მილიარდი ლარი 2012 წელს და 2024-ში, 27 მილიარდ 800 მილიონი ლარი იქნება. აქაც გასამმაგებაააა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა ჩვენთვის. დეფიციტს რაც შეეხება, ჩვენი გათვლებით, 2.5% იქნება, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში – 38.2%“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე ისიც აღნიშნა, რომ ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 870 მილიონი ლარით იზრდება, საიდანაც გათვალისწინებულია პენსიების ზრდა – 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია 50 ლარით გაიზრდება და 415 ლარი გახდება.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში, თითქმის 500 ლარი იქნება.

„რაც შეეხება ძირითად მიმართულებებს, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების ბიუჯეტი 870 მილიონი ლარით იზრდება, საიდანაც დაგეგმილია პენსიების ზრდა – 70 წლისა და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 50 ლარით და გახდება 415 ლარი. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში იქნება თითქმის 500 ლარი. აქვე, შედარებისთვის გეტყვით, რომ 2012 წელს, პენსია იყო 110 ლარი და 125 ლარი, ახლა არის 415 ლარი და 500 ლარამდე მაღალმთიან რეგიონებში. ეს არის ჩვენი ხელისუფლების მუშაობის რეალური შედეგი. 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 20 ლარით და განისაზღვრება 315 ლარით და მაღალმთიანში – 380 ლარი.

გარდა ამისა, რაც შეეხება სხვა პროგრამებს, აქაც, ჯამში, სოციალური პროგრამების დაფინანსება შეადგენს 5.6 მილიარდ ლარს. ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილია 1.6 მილიარდი ლარი, მათ შორის, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა, ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა საჯარო მოხელის ხელფასების ზრდა, ასევე, 10%-ით ზრდა“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა განაცხადა, შარშან, ძალოვნებისთვის 20%-იანი ზრდა განხორციელდა და ჯამში, ბოლო ორ წელიწადში, თითქმის, 40-45%-იანი ზრდა გამოვიდა ძალოვნებში – პოლიციაში, ჯარსა და სპეცსამსახურებში.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო ორ წელიწადში, სხვა საჯარო მოხელეებს ხელფასი 30%-ით გაეზარდათ.

„მინდა, გითხრათ, რომ შარშან, ძალოვნებისთვის 20%-იანი ზრდა გავაკეთეთ და ჯამში, ბოლო ორ წელიწადში, თითქმის, 40-45%-იანი ზრდა გამოგვივიდა ძალოვნებში – პოლიციაში, ჯარში და პრესსამსახურებში. სხვა საჯარო მოხელეებს, ყველას, გაეზარდა ბოლო ორ წელიწადში 30%-ით, ამ ახალი ზრდის ჩათვლით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ამ ტენდენციას, რა თქმა უნდა, შევინარჩუნებთ და ჩვენი საჯარო მოხელეებისა და მათი ხელფასების ზრდას მომავალშიც გავაგრძელებთ. ბიუჯეტი ეზრდება შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს; განათლების სამინისტროში მნიშვნელოვანი რეფორმები სიახლეები გვექნება, მაგრამ ამის თაობაზე მოგვიანებით მოგახსენებთ. 470 მილიონი ლარით იზრდება განათლების ბიუჯეტი. გარდა ამისა, მინდა ვთქვა, რომ საჯარო სკოლების მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდის საკითხს ჩვენ ვამუშავებთ და ახალ მინისტრთან ერთად, ოქტომბრის ბოლოს, წარმოგიდგენთ ახალ კონცეფციას. რაც შეეხება საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციას, გამოყოფილია 350 მილიონი ლარი და შესაბამისად, მაღალი ტემპებით წავა მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი. საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიემართება 225 მილიონი ლარი და ესეც დაწყებული გვაქვს. ბაღებში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა იქნება გათვალისწინებული“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ 2024 წელს ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიემართება 6 მილიარდი ლარი, აქედან, სამინისტროს ბიუჯეტი იქნება 3.4 მილიარდი ლარი.

როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, 2024 წელს, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 1 მილიარდ 700 მილიონი ლარი მიემართება, მათ შორის, ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას 1 მილიარდ 200 მილიონი ლარი მოხმარდება.

„რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, აქაც ნაერთი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიემართება 6 მილიარდი ლარი, აქედან, სამინისტროს ბიუჯეტი იქნება 3.4 მილიარდი ლარი. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიემართება 1 მილიარდ 700 მილიონი ლარი, მათ შორის, ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას მოხმარდება 1 მილიარდ 200 მილიონი ლარი. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია 1 მილიარდ 900 მილიონი ლარი, წყალმომარაგება-წყალანარინების სექტორის გაუმჯობესებაზე 500 მილიონი ლარია გათვალისწინებული. მთლიანად, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე უკვე აღვნიშნე და კიდევ გეტყვით, რომ ჯამში, 700 მილიონი ლარი დაიხარჯება მომავალ წელს. გაისად, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 170 მილიონი ლარის დახარჯვას ვგეგმავთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით, გათვალისწინებულია 300 მილიონი ლარის დახარჯვა; სოფლის მეურნეობის განვითარებაზე 560 მილიონი ლარია განსაზღვრული; გარემოს დაცვის პროგრამების დაფინანსებისთვის კი 180 მილიონი ლარი გამოიყოფა. ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ესაა ბიუჯეტის პირველი ვარიანტი, ოქტომბერში იგეგმება აქტიური მუშაობა სამინისტროებთან და სხვა უწყებებთან. მთავრობა ბიუჯეტის მეორე ვარიანტს 5 ნოემბრამდე წარადგენს, ხოლო ნოემბერში, მესამე ვარიანტზე იგეგმება მუშაობა.

„ეს არის ძირითადი მონახაზი, რაც მინდოდა თქვენთვის მეცნობებინა. შესაჯამებლად ვიტყვი, რომ 2024 წელს, 85 მილიარდი ლარი იქნება მთლიანი შიდა პროდუქტი. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, მშპ 8 600 დოლარი გახდება უკვე და შედარებისთვის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს არის თითქმის გასამმაგებული მშპ, თუ ამ მონაცემებს 2012 წლის ბიუჯეტს შევადარებთ. როგორც გითხარით, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი 27.8 მილიარდი ლარი იქნება, დანარჩენს მოგვიანებით დავაზუსტებთ და ვიმუშავებთ პარლამენტთან ერთად“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რა ქონებას ფლობს ალეკო ელისაშვილი

მაკა რუხაძე

პარტია „მოქალაქეების“ ინიციატივით, მოტყუებულ პენსიონერებს სესხები უნდა გაუნულდეთ. საუბარია პანდემიის დროს მიღებულ ეგრეთ წოდებულ საშეღავათო პერიოდზე, როდესაც პენსიონერებს ბანკებმა თვითნებურად გაუხანგრძლივეს სესხის ვადა, რის გამოც სესხის ოდენობა გაიზარდა. გარდა ამისა, „მოქალაქეები“ ვეტერანების 100-ლარიანი დახმარების 200 ლარამდე გაზრდასაც ითხოვენ, მით უფრო ახლა, როდესაც პარლამენტში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყება. „ვერსია“ პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარის, ალეკო ელისაშვილის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, რომელიც მისივე სხვა კოლეგა-დეპუტატებისგან განსხვავებით, საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობს.

ალეკო ელისაშვილის ბიოგრაფია

ვიდრე ალექსანდრე ელისაშვილის ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ, თვალი ბიოგრაფიას გადავავლოთ. დაიბადა 1978 წლის 17 იანვარს, თბილისში. საზოგადოება იცნობს, როგორც თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქარის“ დამფუძნებელს, ჟურნალისტს, პოლიტიკოსს, საბურთალოს დამოუკიდებელ დეპუტატს თბილისის საკრებულოში. თუმცა, ეს იქამდე იყო, ვიდრე პარლამენტის დეპუტატი გახდებოდა. მონაწილეობდა თბილისის მერის 2017 წლის არჩევნებში, არის პოლიტიკური პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი და საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი 2020 წლიდან.

პოლიტოლოგიის მიმართულებით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 1996 წლიდან ეწევა ჟურნალისტურ საქმიანობას „დილის გაზეთსა“ და „მერიდიანი 44“-ში. 1998 წლიდან იყო პროგრამა „ალიონის“ წამყვანი, მოგვიანებით მუშაობდა სახელმწიფო რადიოს პირველი არხისა და რადიო „ორის“ საინფორმაციო პროგრამების, ასევე გადაცემა „პიკის საათის“ წამყვანად, იყო რადიო „იმედის“ საინფორმაციო პროგრამის კორესპონდენტი.

2004-2007 წლებში მუშაობდა „მეცხრე არხის“ საინფორმაციო კორესპონდენტად. მოგვიანებით, 2004-2007 წლებში – რადიო „თავისუფლებაში“, ჟურნალისტად. 2006-2012 წლებში ასრულებდა თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება „ტფილისის ჰამქრის“ თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს. 2007-2009 წლებში იყო ტელევიზია „მაესტროს“ ჟურნალისტი, 2008-2014 წლებში – ტელევიზია „კავკასიის“ ჟურნალისტი.

2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის აპრილამდე, შეწყალების კომისიას თავმჯდომარეობდა. ამ პოსტზე ალეკო ელისაშვილმა ელენე თევდორაძე შეცვალა.

2014 წლის 15 ივნისიდან იყო თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატი. 2017 წლის 2 ოქტომბერს, ალეკო ელისაშვილმა საკრებულო დატოვა, რაც სამი დღით ადრე, საკრებულოში მიღებულ საკამათო გადაწყვეტილებას უკავშირდებოდა, რომლის თანახმად, ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის კომპანიას თბილისში, მიწის ორი ნაკვეთი გადაეცა. საკრებულოს დატოვებისკენ ელისაშვილი სხვა ოპოზიციონერ კოლეგებსაც მოუწოდებდა.

მონაწილეობდა თბილისის მერის 2017 წლის არჩევნებში, სადაც ხმათა 17.49% მიიღო და მეორე ადგილი დაიკავა. 2020 წლის 4 აგვისტოს, ახალი პარტია – „მოქალაქეები“ დააფუძნა.

2020 წლიდან, საქართველოს მეატე მოწვევის პარლამენტის წევრია პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკიდან – „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“.

2022 წლის მარტში, ალეკო ელისაშვილი უკრაინაში გაემგზავრა და მოხალისე მებრძოლთა უცხოურ ლეგიონს შეუერთდა.

მეგობრის ნაჩუქარი ძვირადღირებული იარაღი, მოკრძალებული ბინა და ავტომობილი – პარტია მოქალაქეების დამფუძნებლის ქონებრივი დეკლარაცია

დეპუტატის ქონება

ალეკო ელისაშვილის დეკლარაციის შესწავლით ირკვევა, რომ ერთ-ერთი, ყველაზე ღარიბი პოლიტიკოსია საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტში. ჰყავს მეუღლე – ირინა კილოსანიძე და ორი ვაჟი – ერეკლე და ალექსანდრე.

დეპუტატი 69.69 კვადრატული მეტრი ფართობის ბინაში, ოჯახთან ერთად ცხოვრობს. დეკლარაციის მიხედვით, ეს სახლი 2011 წელს, 43 000 აშშ დოლარად შეუძენია, რომლის თანამესაკუთრეები არიან ირინა კილოსანიძე და მანანა მელიქიშვილი.

ალეკო ელისაშვილს ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა, 2001 წლის Nissan X Terra, რომელიც 2015 წელს, 5 000 აშშ დოლარად შეიძინა. დეკლარაციის შევსების დროს, დეპუტატს თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე ჰქონდა 1 200 ლარი, ხოლო მეუღლეს – ირინე კილოსანიძეს, თიბისი ბანკის სახელფასო ანგარიშზე – 800 ლარი.

ალეკო ელისაშვილს, პარლამენტის წევრობისა და პოლიტიკური პარტია „მოქალაქეების“ თავმჯდომარის პოსტზე, წლის განმავლობაში, სახელფასო სარგოს სახით, 48 671.93 ლარი მიუღია.

დეპუტატის საკუთრებაშია 2 600 ლარად ღირებული ცეცხლსასროლი იარაღი CZ 97 B, რომელიც მეგობარს უჩუქებია. დეკლარაციის მიხედვით, წლის განმავლობაში, იპოთეკური სესხის დასაფარად, ალეკო ელისაშვილმა ბანკში 21 310 ლარი გადაიხადა.

ოკუპაციის 30 წელი...

მე-3 გვერდიდან

მეთაურობით, თბილისში შემოიჭრებიან, რასაც დემოკრატიული საქართველოს ანექსია და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა მოჰყვება. იმავე წლის 4 მარტს, წითლები აფხაზეთს, 5 მარტს – ცხინვალს, 15 მარტს კი აჭარას აიღებენ. 1922 წელს, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად ორჯონიკიძეს ირჩევენ, რომლის ინიციატივითაც, 1922 წლის 30 აპრილს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი იქმნება. 1924 წლის 7 ივლისს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მაგალითზე, რუსეთის ფედერაციის ცეკა-ს დეკრეტით, ჩრდილოეთ კავკასიაში ასსრ-ს ოსეთის ადმინისტრაციული პროვინციის (ალანიის) ბაზაზე შეიქმნება ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც 1936 წლის 5 დეკემბერს, ასსრ-დ გარდაიქმნება და მის დედაქალაქად ვლადიკავკაზი გამოცხადდება, რომელსაც 1944-1954 წლებში, ხან ორჯონიკიძე ერქმევა, ხან – ძაუჯიყაო.

„კავკასიონის ქედის სამხრეთით და ჩრდილოეთით განლაგებული ოსეთის ავტონომიური ოლქების შექმნის ფაქტი გახდა მათში მცხოვრები ოსი მოსახლეობის ერთი ნაწილის სეპარატისტული განწყობის ჩამოყალიბების მიზეზი. ამ განწყობას გამიზნულად უწყობდა ხელს და აღვივებდა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მისი სამართალმემკვიდრის, რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურები“, – წერს პროფესორი ალექსი მიქელაძე და საქართველოში ჩასახლებულ ოსი ეროვნების მოსახლეობაზე გენერალ ერმილოვის სიტყვებსაც იშველიებს, რომელიც 1816-1826 წლებში, კავკასიის მთავარსარდალი გახლდათ:

„საქართველო, კერძოდ, შედგება: ქართლი, ხორბლის წარმოების საგანგებო ოლქი, კახეთი, რომელიც გაყოფილია თელავისა და სიღნაღის მაზრებად, რომელთაგანაც პირველში უხვადაა შესანიშნავი ვენახები, მეორეში ცდილობდნენ ბაღების გაშენებას, აქ აქვთ ვრცელი სახნავ-სათესები. ქართლს მიეკუთვნება ოსების ნაწილი, რომლებიც მთებში ცხოვრობენ. ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყეს მათ ქრისტიანული სარწმუნოების მიღება... მათი წარმატებები ჯერჯერობით ძალიან უმნიშვნელოა, მაგრამ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ როდესაც მიიღებენ მეტ ნდობას მთავრობისადმი, ანდა მონათვლით მეტ ყურადღებას დაიმსახურებენ, ისინი შეცვლიან თავიანთ მხეცურ ჩვევებს და ქურდობისადმი მიდრეკილებას“.

ოსეთში სეპარატისტული განწყობის შესახებ საუბრობს ოსური ჰუმანიტარული მეცნიერების ე.წ. პატრიარქი აბაევიც:

„მინდა, ვიყო ობიექტური და შევეცადო გავერკვე, ხომ არ ყოფილა ოსეთის მხრიდან ისეთი ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოქმედება, რომელმაც განსაზღვრა ურთიერთდაპირისპირება და მინდა ვაღიარო: ასეთი მოქმედებები არ ყოფილა. მხედველობაში მაქვს მოსკოვზე ორიენტირებული ჩრდილოეთისა და სამხრეთი ოსეთის გამოცხადებული სუვერენიტეტი გაერთიანების პერსპექტივით. სამხრეთოსეთელების სურვილი შეერთებისაკენ, ადამიანური თვალსაზრისით, გასაგებია, მაგრამ გეოპოლიტიკურად ეს შეცდომაა. კავკასიის მთავარი ქედი – ეს არის ბუნებრივი საზღვარი საქართველოსა და ოსეთს შორის და ამ საზღვრის დარღვევის ყოველგვარი მცდელობა იწვევს პერმანენტულ კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის“.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, ოსური ინტელიგენციის წარმომადგენლები გაერო-ს მაშინდელ გენმდივანს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივან გორბაჩოვს და ასევე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს კოლექტიური წერილს უგზავნიან, რომელშიც ნათქვამია:

„საკავშირო პრესა, რადიო და ტელევიზია, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას დაძაბულ, ექსტრემალურ სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეიქმნა საქართველოში და კერძოდ, სამაჩაბლოში (მაჩაბლების, ერისთავებისა და ა.შ. ყოფილი მამულები), ეგრეთ წოდებულ „სამხრეთ ოსეთში“. ყოველმა საღად მოაზროვნე ოსმა, ვინც საქართველოში ცხოვრობს, იცის, რომ ოს ექსტრემისტებს იარაღით ამარაგებს საბჭოთა არმია. ჩვენ ვალდებული ვართ, ვაჩვენოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას კბილებამდე შეიარაღებული ოსი ექსტრემისტების ჭეშმარიტი სახე... პირველად, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, გაიმართა არჩევნები უმაღლეს საბჭოში, რაც ემყარებოდა დემოკრატიის პრინციპებს. ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს კეთილი ნების ოსებმა. თითოეული ჩვენგანი დროულად და სწორად მიიჩნევს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმებას, რომელმაც თავი რესპუბლიკად გამოაცხადა... თავისი ბუნებით, ქართველები დიდსულოვნები და მომთმენები არიან, მათთან ყველას შეუძლია მოიპოვოს თავშესაფარი, ყოველ დევნილს, რომელიც გატანჯულია შევიწროებითა და უბედურებით“.

„ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა 1922 წლის 30 აპრილს, ქართველებითა და ოსებით დასახლებული შიდა ქართლის მეზობელი რაიონების ხარჯზე, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჯუ – 2.5 წლის შემდეგ, 1924 წლის 7 ივლისს, რუსეთის ფედერაციის მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკის ოსეთის ადმინისტრაციული პროვინციის – „ალანია“ ბაზაზე. მის დედაქალაქად აღიარეს ჩრდილოეთ კავკასიის დედაქალაქი ვლადიკავკაზი, რომელიც შეიქმნა 1860 წელს, მდინარე თერგის ნაპირზე, საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად აგებულ სამხედრო ციხესთან, სოფელ ძაუჯიყაოს მახლობლად... გასულ საუკუნეში, საქართველოს ოსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობდა 12-მდე პროვინციაში (რაიონში). საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1922 წლის აპრილში, შიდა ქართლის ოთხი პროვინციის (ზნაურის, ლენინგორის, ჯავისა და ცხინვალის) ხარჯზე, ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს ისტორიულად არარსებული, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომოური ოლქი, სადაც ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ რუსები, სომხები და ებრაელები.

საქართველოს სტატისტიკურ დეპარტამენტში არსებული ინფორმაციის შესაბამისად, მოსახლეობის პირველი საკავშირო აღწერის დროს (1926 წელი), საქართველოში აღრიცხულია ოსი ეროვნების 113 298 მოსახლე, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში – 60 351 მოსახლე (საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის 45%). ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ბოლო აღწერის დროს (1989 წელი), საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები ოსი მოსახლეობის რიცხოვნობა შესაბამისად შეადგენდა 164 055 და 65 232 სულს ანუ საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის 39.72%-ს. ამრიგად, საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის უმეტესობა აღმოჩნდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ფარგლებს გარეთ, რასაც თავისთავად მივყავართ აბსურდამდე, რადგან ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ ვერ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციას – საქართველოში ოსი მოსახლეობის გაერთიანების შესახებ. როგორც ჩანს, ბოლშევიკებს წინასწარ ჰქონდათ განზრახული, რომ ამ ორი ავტონომიური ერთეულის – ჩრდილოეთ და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სხვადასხვა ქვეყნებში არსებობის შემთხვევაში შეიძლება დასმულიყო ამ რეგიონების გაერთიანების საკითხი, რაც, ბუნებრივია, შექმნიდა პრობლემებს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის. პრაქტიკულად, ასეც მოხდა“, – წერს პროფესორი ალექსი მიქელაძე და უინსტონ ჩერჩილის მიერ, 1939 წლის 1 ოქტომბერს, „ბი ბი სი“-ს რადიოეთერში ნათქვამს იხსენებს:

„არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, თუ რას უნდა მოველოდეთ რუსეთისაგან. რუსეთი – ეს გამოცანაა, გამოხვეული გამოცანაში განთავსებული გამოცანის შიგნით“.

რა ხდება დღეს

მაშინ, როცა ჩერჩილი ამ სიტყვებს ამბობდა, რუსეთის ჩანაფიქრის გამოცნობა, შეიძლება, რთული იყო, მაგრამ დღეს, 21-ე საუკუნეში, ყველაფერი ნათელია: სხვა თუ არაფერი, 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის ფონზე, კრემლმა, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევით, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა, თუმცა ამით არ კმაყოფილდება და ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველოს უძველესი ტერიტორიები – აფხაზეთი და სამაჩაბლო საბოლოოდ მიითვისოს. სწორედ ამას ემსახურებოდა მიმდინარე წლის 9 აპრილს, სეპარატისტული ხელისუფლების მიერ გამართული ე.წ. რეფერენდუმი, რომელიც სამაჩაბლოსთვის „ალანიას“ დარქმევის საკითხზე ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმი საერთაშორისო ორგანიზაციებმა არ აღიარეს.

ნატო-მ კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარებულ „რეფერენდუმს“ საგანგებო განცხადება მიუძღვნა, რომელშიც ნათქვამია:

„ცალმხრივი ნაბიჯები რეგიონის სახელის ან სტატუსის შეცვლის თაობაზე ზიანს აყენებს საქართველოში სიტუაციის გრძელვადიანი დარეგულირების ძალისხმევას. ნატო არ აღიარებს საქართველოს რეგიონებს – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ალიანსი სრულ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებში“.

ერთი სიტყვით, კრემლი იმპერიულ ტრადიციას არც ამჯერად ღალატობს და დინების, მაშასადამე, მსოფლიოს ცივილური საზოგადოების წინააღმდეგ მიცურავს: სამაჩაბლოსთვის „ალანიას“ დარქმევას თავი რომ დავანებოთ, რუსეთის ხელისუფლებამ, რამდენიმე წლის წინ, გალის სამხედრო ქალაქად გადაკეთება დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთარ სამშობლოში დევნილი იმ ადამიანებს, რომლებსაც გალთან თუნდაც კონსპირაციული ურთიერთობა აქვთ, ამ ურთიერთობის საშუალებაც მოესპობათ და გალთან ანუ მთელ აფხაზეთთან არსებული უხილავი ძაფებიც გაწყდება.

* * *

ერთხელ, ჩემი მეგობრის, მერაბ ბლადაძის მეუღლემ, აფხაზმა მარი შამბამ მითხრა:

„ – აფხაზები და ქართველები ერთმანეთს ომის დროსაც ვეხმარებოდით.

– ანუ, ქართველებსა და აფხაზებს რუსები გვეომებოდნენ? – ჩავეკითხე.

– ქართველები, აფხაზები და ჩრდილოკავკასიელები ომობდნენ... საერთოდ, აფხაზები ძალიან ცოტანი ვართ და თუ ამ ცოტას ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს გამოვაკლებთ, სამხედრო პირები ძალიან ცოტანი გამოდიან... ერთსაც დავამატებ: აფხაზების ისტორია სისხლიანი ისტორიაა! აფხაზები რუსეთისგან დასჯილი ერია!

– მარი, რაკიღა აფხაზი ქალი აღიარებ, რომ აფხაზები რუსეთისგან არიან დასჯილები, ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველები და აფხაზები, რომლებიც საუკუნეები ძმურად ცხოვრობდნენ, ერთმანეთს რუსეთმა გადაამტერა?

– ეს ინტრიგაა!

– ანუ, რუსული ინტრიგა?

– რუსეთს აფხაზეთში რაღაც ტონუსი რომ დაეჭირა, ამ თემით სპეკულირებდა!“

რუსეთი მხოლოდ აფხაზეთით კი არა, სამაჩაბლოთიც სპეკულირებს – დიახ, აი, ესაა რეალობა, რომელსაც ვერსად გავექცევით!..

სხვათა შორის, „პუტინი აუპატიურებს რუსეთს“ – ასე ჰქვია ანიმაციას, რომელიც ამ დღეებში, ფეისბუქგვერდმა – „„ის, რაც ექიმმა გამოწერა“ გამოაქვეყნა. ანიმაციურ ფილმში ნაჩვენებია, რომ პუტინი საკუთარ ქვეყანაზე ძალადობს. ვაგლახ, რომ პუტინი, რომელიც შეიძლება იმპერიალისტური რუსეთის კრებსით სახელადაც მივიჩნიოთ, საქართველოზეც ძალადობს!..

სამართალი

№37 4 ოქტომბერი 2023 წ

სკოლის მოსწავლე გოგონა „აბაზანის მარილის“ ინტოქსიკაციით გარდაიცვალა

მარიხუანაზე „შემჯდარი“ არასრულწლოვანები

ბათო ჯაფარიძე

ვერ გეტყვით, მერამდენედ ვწერ ნარკომანიის პრობლემაზე საქართველოში და რაც მთავარია, ნარკოლიბერალიზაციის მიერ მოტანილ „სიკეთეზე“. ამჯერად, აღნიშნულ თემას მარტივი მიზეზის გამო ვუბრუნდები. ყოველგვარი შეფუთვისა და მინიშნებების გარეშე ვწერ, რომ ერთ-ერთი, ყველაზე ცნობილი ადგილი, სადაც ნარკოტიკებს მოიხმარენ, ან მოხმარების შემდეგ, „დროის გასატარებლად“ მიდიან, თბილისის ცენტრში არსებული ერთ-ერთი პოპულარული სივრცეა. რაც მთავარია, იქ ჩვენც ვიმყოფებოდით და ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენელს ვესაუბრეთ, რომელიც არ მალავს, რომ ამ ტერიტორიაზე თუ არ იყიდება ნარკოტიკი, მიმდებარედ მისი შეძენა ძალიან მარტივად შეიძლება. ეს იციან ნარკოდილერებმაც და ჰყიდიან. რაც მთავარია, მათ იციან დოზები და მაგალითად, 4 გრამ „მარიხუანაზე“ მეტი (დაახლოებით, 5-6 ღერი სიგარეტი) არასდროს აქვთ, შემდეგ, როცა ხელს დაიცლიან, მიდიან და უკან მალევე ბრუნდებიან, ისევ 4 გრამი „მარიხუანით“. იქვე შეიძლება „იშოვო“ მსუბუქი კლუბური ნარკოტიკი, მაგრამ...

არცთუ დიდი ხნის წინ, თბილისში, სკოლის მოსწავლე გოგონა გარდაიცვალა. მას ე.წ. „აბაზანის მარილი“, იგივე „სპაისი“ ჰქონდა მიღებული და მართალია, სახლამდე მისვლა მოასწრო, მაგრამ ინტოქსიკაციის შედეგად გარდაიცვალა. „ჩინური ნაგავი“ – ასე ეძახიან რიგ ნარკოტიკებს და მათ შორის „სპაისიც“ არის, მაგრამ სიიაფის გამო, არაერთი ეტანება, თუმცა საკმარისია, დოზა ვერ დაიცვა, ან ალკოჰოლი ზომაზე მეტი მიიღო, რომ „აბაზანის მარილი“ სისხლის მოწამვლას იწყებს და ყველაფერი ტუჩებზე მომდგარი ქაფით სრულდება. გამოძიებით ისიც დადგინდა, რომ გოგონას ნარკოტიკი საკუთარი ნებით არ მიუღია, არ იყო მომხმარებელი, უბრალოდ, წყლიანი ბოთლი მიაწოდეს, სადაც ეს ნარკოტიკი იყო გარეული, მეგობრებს გახუმრება სურდათ და სასიკვდილოდ გაეხუმრნენ. ვისი იდეა იყო, კონკრეტულად ვინ ჩაყარა ნარკოტიკი და ვის აერია დოზები, ჯერჯერობით, ბოლომდე დაუდგენელია, მაგრამ როცა გაირკვევა, სასამართლო მკაცრი ვერ იქნება – საქმე არასრულწლოვნებთან გვაქვს და სამწუხაროდ, არასრულწლოვნების შესახებ კანონს თავი ერთხელ და სამუდამოდ ვერ დაედგა.

თვე ან თვეზე ოდნავ მეტია გასული მას შემდეგ, რაც შსს-მ ბოლო მასშტაბური სპეცოპერაცია ჩაატარა ნარკოდილერების გამოსავლენად და როგორც წესი, რამდენიმე ათეული დააკავა. მათი სასამართლო პროცესები არ გამართულა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნარკოტიკების პრობლემა მოგვარდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ უახლოეს მომავალში ისევ ჩატარდება მორიგი სპეცოპერაცია, დაკავებულთა ოდენობა ისევ რამდენიმე ათეული იქნება და მათი უმრავლესობა ისევ უცხო ქვეყნის წარმომადგენელი. არ შეიძლება იმის თქმა, რომ შსს არ მუშაობს, პირიქით, ისინი ამ მიმართულებით ძალიან დიდ სამუშაოს ახორციელებენ, მაგრამ ისეთი მასშტაბები აქვს ნარკოტიკების გასაღებას, რომ მხოლოდ ძალოვნების ძალისხმევა არ ჰყოფნის. ჰო, მოსახლეობაც ვალდებულია, ყველაფერ ამაში ჩაერთოს და ქუჩაში გამოსვლით თუ არა, პეტიციით მაინც გავაპროტესტოთ ნარკოლიბერალიზაციის ის კანონი, რომელმაც ხელ-ფეხი არა მარტო ნარკოდილერებს გაუხსნა.

ვინმე წარმოიდგენდა, რომ „მარიხუანას“ მოსახმარ ატრიბუტიკას მაღაზიაში გაყიდდნენ, „მარიხუანას“ ჰიბრიდულ თესლებს გაყიდდნენ და კონკრეტული ადამიანები, მსუბუქ ნარკოტიკად მონათლულ ამ ბალახს აივნებზე გაახარებდნენ? დღეს ეს მწარე რეალობაა, რომელსაც თითქოს შევეგუეთ, თითქოს ასე უნდა იყოს, სინამდვილეში კი... იგივე ნარკოლიბერალიზაციის კანონი აშშ-ის რამდენიმე შტატში დედებმა გააპროტესტეს და შედეგიც მიიღეს.

„ბევრი ამბობს, რომ „მარიხუანას“ მომხმარებელთა შორის, გოგონები სჭარბობენ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა ოდენობის არასრულწლოვანი გოგონა მოიხმარს ამ მოსაწევს. ერთ ღერ მოსაწევზე „იკერებიან“ სკოლის ბავშვები. ჰო, „იკერებიან“ და ამით მათივე თანატოლი ბიჭები სარგებლობენ. ის, რაც ხდება, სახელი არ აქვს, მაგრამ, როცა 14-15-16 წლის გოგოები და ბიჭები ღამის 12 საათზე, ღამის პირველ და ორ საათზე ბარში, ქუჩაში არიან, მგონია, რომ მათ არც დედა ჰყავთ და არც – მამა. არასრულწლოვანი შვილი ღამის 2 საათზე სახლში რომ არ გყავს, რა გაძინებს, რა გამშვიდებს“, – გვეუბნება აღნიშნული სივრცის ერთ-ერთი თანამშრომელი.

ძველ თაობას ემახსოვრება, იყო პერიოდი, როცა საქართველოში ნარკომანობა კარგ ტიპობასთან ასოცირდებოდა. მეტიც, გოგონები ცდილობდნენ, სწორედ ასეთ ადამიანებთან ემეგობრათ, საზოგადოებაში კაიფში ყოფნა თითქოს პრესტიჟული იყო, ვიღაც თუ ცხვირს იფხანდა საეჭვოდ და „მედლენნი ბაზარი“ ჰქონდა, ხომ საერთოდ, აკერპებდნენ. სამწუხაროდ, ახლაც ასეთი ტენდენცია შეინიშნება – „მარიხუანას“ მოხმარება კარგ ტონად ითვლება და მას, ძირითადად, სწორედ არასრულწლოვნები ეტანებიან. მშობლების დიდმა ნაწილმა იცის, რომ მათი შვილი „მარიხუანას“ მომხმარებელია, ისიც იცის, რომ ისინი ღამით შინ რომ აგვიანებენ, კონკრეტულად, რომელ ლოკაციაზე არიან, მაგრამ ვერაფერს აწყობენ, რადგან მერე შვილი შესაბამის უწყებაში რეკავს, მშობელს ძალადობაში ადანაშაულებს და ფაქტიც გამზადებული აქვს – თუნდაც ტელეფონში ჩაწერილი გაბრაზებული მშობლის ხმა – „ნახავ, რას გიზამ, სახლში რომ მოხვალ“... ანალოგიურად, ალბათ, ჩვენს ბავშვობაშიც გვეუბნებოდნენ მშობლები და შინ დაბრუნებულებს არაფერს „გვიშვრებოდნენ“, ყველაზე დიდი– ეყვირათ და დამუქრებულიყვნენ, რომ სხვა დროს მეგობრებთან არ გაგვიშვებდნენ, ამით მთავრდებოდა ყველაფერი და არცერთ ბავშვს თავში აზრად არ მოსდიოდა, რომ მშობლისთვის უნდა ეჩივლა. ახლა კი, რაღაც უბედურება გვჭირს – არასრულწლოვანი გოგონა, მეგობრებთან ერთად, სასაფლაოზე, კატის მოსაკლავად იყო წასული (საბედნიეროდ, კატა გაექცათ) და შინ დაბრუნებულს მამამ ჯერ უყვირა, შემდეგ კი, როცა 15 წლის შვილისგან არაადეკვატური პასუხი მიიღო, ყური აუწია. ეს კაცი დღეს სამწლიან სასჯელს იხდის, მისი შვილი კი კვლავ სასაფლაოებზე დადის და არავინ იცის, კატას წირავენ ღამ-ღამობით, თუ ლექსებს კითხულობენ...

ჩვენც გვქონდა ბავშვობა, ჩვენც ვაშავებდით, გვსჯიდნენ მშობლები, მაგრამ ამ გადმოსახედიდანაც კი, არ ვთვლი, რომ მაშინ ჩვენს უფლებებს არღვევდნენ. აზრად არავის მოსდიოდა, რომ მშობლისთვის შეიძლებოდა, ყურის აწევის გამო ეჩივლა, ვიცოდით, რომ ღამის 2 საათზე არასრულწლოვანი ბავშვი სახლში კი არა, ლოგინში უნდა ყოფილიყო, ვიცოდით, რომ ნარკომანობა ცუდი იყო, ისიც ვიცოდით, რომ ჯამი ჭურჭელია...

ახლა კი, მიმოიხედეთ, ირგვლივ რა ხდება, მაღაზიაში შვილს უარი რომ უთხრა მაგალითად, გაზიანი სასმელის შეძენაზე და რომ უთხრა, ეს მავნეა, ვიღაც „მოგახტება“ და ახსნას დაგიწყებს, რომ 5 წლის ბავშვი არის პიროვნება, რომ ეს მისი არჩევანია, რომ სურვილი უნდა შეუსრულო. გეთანხმებით, 5 წლის ბავშვი კი არა, მუცლად მყოფი ბავშვია პიროვნება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ 5 წლის ბავშვზე ბევრით თუ არა, ცოტა მეტი მაინც იცის მშობელმა, რომ 5 წლის ბავშვი, მშობელზე მეტად, რომელიმე არასამთავრობოს წარმომადგენელს არ უყვარს, რომ...

ხვდებით მაინც, რას ნიშნავს, არასრულწლოვანი გოგონები ერთ ღერ „მარიხუანაზე“ რომ „იკერებიან“? ხვდებით, როგორ მოგვიბრუნდება ყველაფერი ეს 5-10 წლის შემდეგ? მაშინ, როცა ნარკომანებს ეთაყვანებოდნენ საქართველოში, თაობა კი არა, თაობები დავკარგეთ. ყველაზე ცუდი, რაც რუსეთმა გააკეთა, დამოუკიდებელ საქართველოს იარაღი და ნარკოტიკი არ მოაკლო და სწორედ ამ ორმა რამემ შეიწირა თაობები, საჯიშე ბიჭები და გოგონები. ჰო, გოგონებიც, რომლებიც მაშინაც ცდებოდნენ, მაგრამ მათი რიცხვი პროცენტულად, ალბათ, ერთზე ნაკლები იყო. ახლა კი... ახლა ბიჭებს გადაასწრეს, თითქოს თავს იმკვიდრებენ იმით, რომ „მარიხუანას“ მომხმარებლები არიან და არავინ არაფერს უშლის. ვერც სამართალდამცავები იღებენ ხმას, რადგან ნარკოლიბერალიზაციის გადამკიდე, ზუსტად იციან, რომ დაკავებული ათი მომხმარებლიდამ ცხრას – მოსამართლე დარბაზიდან გაათავისუფლებს, იმ ერთის ძიებაში კი არც თავს იღლიან და ამბობენ კიდეც, ისე გამოდის, პოლიციელი ცუდია და მოსამართლე კარგი, რადგან ჩვენ ვიჭერთ, ისინი კი ათავისუფლებენო.

ბაღის გამგეს აუტისტური სპექტრის ბავშვი შემოაკვდა

დიდი ტრაგედია, რომელსაც დამნაშავე არ ჰყავს

ბათო ჯაფარიძე

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები – თემა, რომელიც ადრე დახურული იყო, ახლა კი არავინ ერიდება ხმამაღლა თქვას, რომ ბავშვი შშმ პირია და შესაბამისი გარემო და ხელშეწყობა სჭირდება. კარგია, რომ სახელმწიფო ბევრ რამეს აკეთებს შშმ პირებისთვის, მაგრამ ბევრი რამ ყველაფერი არ არის. არიან მშობლები, რომლებიც ვერ ეგუებიან ბავშვების ასეთ მდგომარეობას, იბრძვიან, სჯერათ, რომ საბოლოო ჯამში, გამოჯანმრთელება შეიძლება, საბედნიეროდ, გარკვეული შედეგიც აქვთ... თუმცა, საუბედუროდ, არცთუ მცირე ნაწილი მშობლებისა, როცა გაიგებს, რომ ბავშვი შშმ პირია, სამშობიაროში ტოვებს და მის არსებობას ივიწყებს. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, არც გმირი ჰყავს და არც – ანტიგმირი, ეს არის მწარე რეალობა, რომელშიც ადრე უწევდათ ადამიანებს ცხოვრება, ახლა კი, მას შემდეგ, რაც მეტი ინფორმაციაა, ანალოგიური რამ, წესითა და რიგით, არ უნდა განმეორდეს.

საქართველოს ერთ-ერთი დიდი ქალაქის საბავშვო ბაღში, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი გარდაიცვალა. 5 წლის ბიჭის სიკვდილის მიზეზად ექსპერტიზამ საძილე საშუალებების გადაჭარბებული დოზის მიღება დაასახელა. საიდან მოხვდა საბავშვო ბაღში საძილე საშალებები და რაც მთავარია, ვინ მისცა ბავშვს აბები, დასადგენი იყო, თუმცა გამომძიებლები იმდენ უცნაურობას გადააწყდნენ, იმდენი რამ გაიგეს, რომ საბოლოო დამნაშავის დაკავების შემდეგ, საქმის გახსნა არ უხაროდათ. ისინი ბავშვის მკვლელთან ერთად ტიროდნენ. მილიციაში (მაშინ ჯერ კიდევ მილიცია ერქვა) განცხადება ბავშვის დედამ დაწერა.

„ჩემი შვილის მიღება არცერთ ბაღში არ სურდათ, მეუბნებოდნენ, ავადმყოფიაო. არადა, სინამდვილეში, აუტისტი იყო და არავის არაფერს უშავებდა. არც კი მქონდა იმედი, რომ ჩვენს ქალაქში არსებულ საუკეთესო ბაღში მიიღებდნენ, მივედი და ბაღის გამგემ მითხრა, ერთი ადგილი გათავისუფლდა და იმის მიუხედავად, რომ დიდი რიგებია, სწორედ თქვენს შვილს მივიღებთო. მერე გავიგე, რომ თურმე მას შვილიშვილი ჰყოლია აუტისტური სპექტრის, რომელიც გარდაიცვალა და ჩემი ბავშვი მას მიამსგავსა. ბედნიერი ვიყავი და ეს იმის მიუხედავად, რომ მშობლები აპროტესტებდნენ, ჩვენს ბავშვებთან ერთად ნუ დადის ეგ ავადმყოფი, ჩვენებს რამეს გადადებსო. ვერ ავუხსენი, ვერ გავაგებინე, რომ აუტიზმი გადამდები არ არის. მერე დამემუქრნენ, შენს შვილს მოვკლავთო და აგერ, მუქარაც აასრულეს, დარწმუნებული ვარ, მკვლელი ერთ-ერთი მშობელია“, – ამბობდა ბავშვის დედა.

რა თქმა უნდა, გამოძიება ყველა მიმართულებით დაიწყო და ერთ-ერთმა ძიძამ გამომძიებლებს საინტერესო რამ უთხრა:

„აქ ერთი ქალი დადიოდა მუდმივად, სულ ითხოვდა, რომ მისი ბავშვი მიგვეღო, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო, უარს ეუბნებოდნენ. ბოლო ხმაზე კიოდა, იმ ავადმყოფისთვის გაქვთ ადგილი და ჩემი შვილისთვის არაო. ბოლოს დაიმუქრა, ის ბავშვი რომ მოკვდება, მერე ხომ გამოჩნდება ადგილიო და როცა სასწრაფოს გარდაცვლილი ბიჭი მიჰყავდა, ქალი უკვე იქ იყო საბუთებით და დირექტორს ეუბნებოდა, ახლა უარს ვერ დამისაბუთებ, ჩემი შვილი უნდა მიიღოო“.

გამოდიოდა, მშობელმა საიდანღაც იცოდა, რომ ბავშვი სწორედ იმ დღეს გარდაიცვლებოდა და გარდაცვალებიდან ათ წუთში, საბუთებით ადგილზე იყო. რა თქმა უნდა, ეს სერიოზული ეჭვის საფუძველი გახლდათ და ამიტომ, გამომძიებლებმა, პირველ რიგში, მისი დაკითხვა გადაწყვიტეს.

„ყველაფერი ძალიან მარტივადაა. ბაღის მზარეულს ვთხოვე, თუ ადგილი გათავისუფლდებოდა, ჩემთვის უნდა დაერეკა. სახლისა და სამსახურის ტელეფონი მივეცი, საბუთები კი ჩანთით მუდმივად თან დამქონდა, ხომ არ ვიცოდი, როდის დამირეკავდა. ამას უანგაროდ არ აკეთებდა, ინფორმაციისთვის 30 მანეთი მივეცი და სწორედ მან დამირეკა, ბავშვი გარდაიცვალა და მოდიო. არც ვიცოდი, რომელი ბავშვი იყო გარდაცვლილი, სამსახურდან გავეთავისუფლე და გამოვქანდი“, – განაცხადა ქალმა და მას მყარი ალიბი ჰქონდა – მაშინ, როცა გარდაცვლილმა საძილე აბები მიიღო, ეჭვმიტანილი სამსახურში გახლდათ და ამას ორი ათეული ადამიანი მაინც ამოწმებდა.

გარდაცვლილი ბავშვის დედა იმასაც ამბობდა, ჩემს შვილს სხვა ბავშვები სცემდნენ და რომ არა ბაღის გამგე, ალბათ, მოკლავდნენ კიდეც, მაგრამ გამგე მუდმივად თან დაჰყვებოდა ბავშვს, როცა ეზოში გაჰყავდათ, გვერდიდან არ შორდებოდა, ბაღის შენობაში კი ძიძები აქცევდნენ ყურადღებას, რადგან მკაცრად ჰყავდა გაფრთხილებულიო. მისივე ვარაუდით, მისი შვილის მიმართ სხვა ბავშვების აგრესია მშობლების დარიგებებით იყო გამოწვეული, თორემ თავიდან ბავშვები აგრესიას არ გამოხატავდნენ. დაიწყო დანარჩენი მშობლების დაკითხვა-შემოწმება, მათი ალიბის გადამოწმება და ეს ხანგრძლივი პროცედურა იყო.

ერთი კვირის შემდეგ, გამოძიებამ დაადგინა, რომ ყველა მშობელს ალიბი ჰქონდა და თან ყველა თავს იგიჟებდა, ბავშვს სასიკვდილოდ როგორ გავიმეტებდითო? თუმცა, მკაცრი დაკითხვის პირობებში, რამდენიმე მათგანმა აღიარა – ბავშვებს ვარიგებდით, აუტისტური სპექტრის თანატოლის მიმართ აგრესია გამოეხატათო. ბავშვებიც მშობლების დანაბარებს ასრულებდნენ და თანატოლს არ ინდობდნენ. მშობლების დაკითხვის შემდეგ, სამართალდამცავებმა გარდაცვლილი ბავშვის მამა დაკითხეს, რომელმაც ცოლ-შვილი სამშობიაროშივე მიატოვა. რეალურად, მის დაკითხვას შედეგი არ უნდა გამოეღო, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ამის გაკეთება გადაწყდა.

„ცოლს არ დავშორდებოდი, ბავშვი რომ სამშობიაროში დაეტოვებინა, მან კი კატეგორიულად განმიცხადა, უნდა გავზარდოო. არ ვიყავი ამისთვის მზად და დავტოვე. ახლა სხვა ოჯახი მყავს, სხვა ცოლი და ჯანმრთელი შვილი, ძალიან ბედნიერი ვარ. ალიმენტს პატიოსნად ვიხდიდი, შეგიძლიათ, გადაამოწმოთ და რაც მთავარია, მგონია, რომ ჩემს ყოფილს მობეზრდა ასეთი ბავშვის მოვლა და საძილე აბები, სწორედ მან დაალევინა, მერე ბაღში მიიყვანა და დატოვა. ყოველ შემთხვევაში, ერთი თვის წინ, როცა მასთან სახლში ვიყავი ყოფითი პრობლემის მოსაგვარებლად, მაგიდაზე საძილე აბები ვნახე“, – განაცხადა მამაკაცმა.

ძალოვნები გარდაცვლილი ბავშვის დედას ეწვივნენ. მან საკუთარი ხელით გამოიტანა აბები, ჩემთვის ვიყიდე და ვსვამდი, გამორიცხულია, ბავშვს აეღო, ის თავისით თითქმის არაფერს აკეთებდა, ვიღაცამ ეს აბები ძალით დაალევინა და თუ გგონიათ, რომ ეს მე გავაკეთე, ძალიან ცდებითო. ყოველი შემთხვევისთვის, ექსპერტიზა ჩატარდა და დადგინდა, რომ ბავშვის ორგანიზმში სხვა შემცველობის საძილე პრეპარატი იყო და დედა სხვას სვამდა. გამოძიება ჩიხში შევიდა, აღარ იცოდნენ, რა უნდა მოემოქმედებინათ და ამ დროს, განყოფილებაში ბაღის გამგის თანაშემწე მივიდა, ახალგაზრდა ქალი, რომელიც მის ადგილს უმიზნებდა.

„მე ვიცი, ვინ მოკლა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი. იმ დღეს, ბავშვთა საძინებელში შევედი, წესით, იქ არავინ უნდა ყოფილიყო, უბრალოდ, დასვენება მინდოდა. მხოლოდ ერთი საწოლი იყო დაკავებული, სადაც სწორედ ის ბავშვი იჯდა, ბაღის გამგე კი აბებს ასმევდა. მგონია, რომ სწორედ მან დაალევინა საძილე აბები და ამით არასასურველი ბავშვი, უბრალოდ, მოიცილა. ჩვენ ხომ სანიმუშო ბაღი ვართ, ამ ბავშვზე კიდევ ყველა მშობელი უარყოფითად საუბრობდა“, – განაცხადა მან. სამართალდამცავებმა დაკითხვაზე ბაღის გამგე დაიბარეს.

„ჩემს გარდაცვლილ შვილიშვილს ვაღმერთებდი. იცით, რით გარდაიცვალა? თანატოლებმა სცემეს, მართალია, პატარები იყვნენ, მაგრამ წააქციეს და თავში ქვები ურტყეს. მას შემდეგ, ოცნებად მქონდა, რომ ჩემს ბაღში ასეთი ბავშვი მოეყვანათ, მინდოდა, ყველა გრძნობა, რაც შვილიშვილთან მაკავშირებდა, მასზე გადამეტანა და აი, გამოჩნდა ბავშვი, რომელიც შესაძლოა, იმაზე მეტად შემიყვარდა, ვიდრე დედამისს, თუმცა ყველა დანარჩენს მის მიმართ აგრესია ჰქონდათ, ამიტომ ძალიან ვუფრთხილდებოდი, ვასეირნებდი, ვაჭმევდი, ვეთამაშებოდი. იყო მხოლოდ ერთი დღე, როცა თათბირზე მივდიოდი და პირველად, როცა მარტო დავტოვე, ბავშვი სასტიკად ნაცემი დამხვდა. ამიტომ, საძილე აბებს ვასმევდი და ვეუბნებოდი, რომ ბავშვი არავის შეეწუხებინა. ეს აბები გამითავდა, სავარაუდოდ, ფარმაცევტს შეეშალა და დიდი დოზა მომცა, თორემ ჩვეულებრივ დავალევინე იმ დღესაც და წავედი, რომ დავბრუნდი, გარდაცვლილი დამხვდა. ვერცერთი სასამართლო ვერ დამსჯის ისე, როგორც განგებამ დამსაჯა. მე ორ ბავშვს ვერ გავუფრთხილდი, ვერც ჩემს სისხლსა და ხორცს და ვერც – სხვისას“, – განაცხადა ბაღის გამგემ.

როცა ის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაჰყავდათ, კანონის შესაბამისად, მისი ჩხრეკა ჩატარდა. მას ჯიბეში მხოლოდ ორი სურათი ედო – გარდაცვლილი ბავშვისა და შვილიშვილის.

ბათო ჯაფარიძე

ყველაფერი გენიალური, ერთი შეხედვით, მარტივია... კრიმინალებისა და სამართალდამცავების ბრძოლა ასეულ წლებს ითვლის და კიდევ ბევრს დაითვლის. რაც უფრო ჭკვიანია დამნაშავე, მით მეტი შრომა სჭირდებათ გამომძიებლებს. ერთი შეხედვით, გაუხსნელი საქმეები არ არსებობს, მაგრამ – ერთი შეხედვით. გაუხსნელ საქმეთა ტომები ასეულობით გვერდს ითვლის და, ცოდვა გამხელილი სჯობს, კიდევ უფრო მეტია ისეთი საქმეები, რომლებიც სამართალდამცავებმა ვერ გახსნეს, მაგრამ სხვას „შეტენეს“. მაგალითად, ათი გაუხსნელი საქმე გაქვს, ამ დროს ბინის ქურდობაა, იჭერ ბინის ქურდს და ეუბნები, რომ ის საქმეებიც საკუთარ თავზე აიღოს, სასამართლო კი გარანტირებული 6-7 წლის ნაცვლად, 5 წელს მისცემს. მოსამართლეები გამომძიებლის მდგომარეობაში შედიან, ითვალისწინებენ ყველაფერს და ირგვლივ ყველა ბედნიერია – ძალოვნებს ნაკლები საქმე აქვთ გაუხსნელი, დამნაშავე ნაკლებ სასჯელს იღებს, მოსამართლე ცალკე გამომძიებელს ივალდებულებს და ცალკე – ბრალდებული ჰყავს კმაყოფილი.

ვინ არის პენსიონერი ქალი, რომელმაც მეზობლის ბავშვი გაიტაცა

უცნაური ქურდობების სერია თბილისში

80-იანი წლების მიწურულს, მაშინ, როცა სიტუაცია იძაბებოდა და საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლას იწყებდა, თბილისში უცნაური ქურდობების სერია დაიწყო. კარზე მამაკაცი აკაკუნებდა და აკაკუნებდა სწორედ მაშინ, როცა შინ უფროსები არ იყვნენ. ბავშვს, რომელიც კარს აღებდა, ეუბნებოდა, რომ ის დედის ან მამის თანამშრომელია, დედ-მამას სახელით ახსენებდა, ამბობდა, რომ ერთ-ერთი ავარიაში მოჰყვა, რომ სასწრაფოდ ოპერაცია იყო გასაკეთებელი, რასაც ფული სჭირდებოდა და ბავშვს ფული უნდა მიეცა. მამაკაცი იმდენად დამაჯერებლად საუბრობდა, ისეთ დეტალებს ამბობდა, რომ ბავშვები კარს უღებდნენ, მამაკაცი ბინაში შედიოდა და მასპინძელს ეუბნებოდა, ფული სადაც დევს, მომიტანე, მეჩქარება, დედაშენს (ან მამაშენს) ცოცხალს რომ მივუსწროო. როცა ბავშვი ოჯახის დანაზოგას გამოიტანდა, მერე მამაკაცი უკმაყოფილოდ აქნევდა თავს და ამბობდა, ცოტაა, ოქროულიც მომეცი, მაგასაც მივიტან საავადმყოფოში, გარანტად დავუტოვებ და ფულს მერე დავუმატებთო. ბავშვები ოქროულსაც აძლევდნენ და ასეთი შემთხვევა უკვე იმდენი იყო, რომ გამომძიებლებს დასათვლელად ერთი ხელის თითები არ ჰყოფნიდათ. ბავშვები ვერაფერს ამბობდნენ, მამაკაცს ქუდი ეფარა, სახე კი ჩვეულებრივი ჰქონდაო და რამდენჯერაც ფოტორობოტის შედგენა გადაწყვიტეს, იმდენჯერ კრახით დასრულდა – ბავშვები სულ სხვადასხვა სახეს ახატინებდნენ, არადა, აღწერილობით ადვილი მისახვედრი იყო, რომ ერთსა და იმავე მამაკაცზე საუბრობდნენ.

საბედნიეროდ, ერთ-ერთი ბავშვი სხვებზე დაკვირვებული აღმოჩნდა და როცა კაცს დამშვიდობებისას თავაზიანად გაუწოდა ხელი ჩამოსართმევად, მარჯვენა ხელის მაჯაზე, ქვედა მხრიდან, სვირინგი დაუნახა. ბავშვი ამტკიცებდა, სვირინგი რაღაც ნაჯღაბნს ჰგავდა, არც ცხოველი იყო, არც – ფრინველიო და როცა იაპონური იეროგლიფები ანახეს, გაუხარდა, სწორედ ასეთი რამ ეხატა, მაგრამ არ ვიცი, რომელიო. ძალოვნები ეძებდნენ მამაკაცს, რომელსაც ბინების გაქურდვის გამოცდილება და ხელზე იაპონური ან ჩინური იეროგლიფი ეხატა. კარტოთეკაში ასეთი არავინ იყო და რაც მთავარია, დამნაშავეს ინფორმაცია ჰქონდა ყველა იმ ოჯახზე, სადაც გასაქურდად შევიდა, მან იცოდა ორივე მშობლის სახელი, იცოდა, სად მუშაობდნენ, როდის არ იყვნენ სახლში და იცოდა ბავშვების სახელებიც კი.

ცხადი გახლდათ, მას ხელი მიუწვდებოდა ქორწინებებისა და დაბადების მოწმობებზე ანუ წესით, არქივში უნდა ემუშავა. გადაამოწმეს არქივის თანამშრომლებიც, მაგრამ ამაოდ. ყველაფერმა კი სერიოზული სახე მას შემდეგ მიიღო, რაც ერთ-ერთი ბინიდან, ქურდობის შემდეგ, 9 წლის ბიჭიც დაიკარგა ანუ ბინის ქურდმა ბავშვი გაიტაცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბავშვმა, დიდი ალბათობით, იცნო, მაგრამ მანამდე სახლში შეუშვა, რადგან საკეტი გატეხილი არ იყო.

როცა საქმე ბავშვს ეხებოდა, სამართალდამცავთა მხრიდან რამე კომპრომისზე წასვლა გამორიცხული იყო. ისინი ასეთ დროს არავის ინდობდნენ, არაფერს ერიდებოდნენ და ბინების ქურდზე ნამდვილი ნადირობა გამოცხადდა. ბოლომდე აამუშავეს აგენტურული ქსელი, შეამოწმეს ის ადამიანები, რომლებიც სვირინგებს არალეგალურად აკეთებდნენ, ამოიღეს სიები, ვისაც ხელზე იეროგლიფი ჰქონდა დატანილი, ნახეს ათამდე ასეთი მამაკაცი, მაგრამ ბავშვები ყველაზე კატეგორიულად ამბობდნენ, რომ მათში ბინის ქურდი ვერ ამოიცნეს.

ამ დროს, ცნობილი გახდა, რომ არქივიდან რამდენიმე თვის წინ გათავისუფლდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც ერთ-ერთ თანამშრომელზე იყო შეყვარებული, ცოლად მოყვანას ჰპირდებოდა, მაგრამ შემდეგ მიატოვა და სწორედ ამ გოგონამ თქვა, იმ უსინდისოს ჰქონდა მაჯაზე რაღაც უცნაური წარწერაო. ბიჭის სახელი და გვარი მალევე დაადგინეს, გაიგეს საცხოვრებელი მისამართი და როცა ოპერმუშაკები მიადგნენ, მიხვდნენ – სწორ კვალზე იდგნენ. როგორც კი მან კარის მეორე მხრიდან გაიგონა, რომ სამართალდამცავები იყვნენ სტუმრად, ფანჯარა გააღო და მეორე სართულიდან გადახტა. მან არ იცოდა, რომ ოპერმუშაკებიდან ერთ-ერთი, სწორედ დაბლა, ფანჯრის ქვემოთ ელოდა და მარტივად გადაუგრიხა ხელები.

„მარტივად ვიტყვი – ახლაგაზრდა ვარ, არაერთი სამსახური გამოვიცვალე და ხელფასი არსად მყოფნიდა. ცხოვრება მინდა, კარგი და ლამაზი ცხოვრება. არქივში რომ დავიწყე მუშაობა, ეგ იდეა მაშინ მომივიდა. დაახლოებით, ასი მისამართი ამოვიწერე, ამ ადამიანების სახელები, გვარები, ვარკვევდი სამუშაო ადგილებს, თუ ვერ ვარკვევდი, ბევრს არც ვნერვიულობდი. ცენტრალური უბნების მცხოვრებლებს ვარჩევდი და გასამართლება მხოლოდ ქურდობისთვის შეგიძლიათ – მე არავინ მომიკლავს, არავინ დამიჭრია, არავისთვის ფიზიკური ზიანი არ მიმიყენებია. ეგ თქვენი კოდექსი ზეპირად ვიცი და ყველაზე ცუდ ვარიანტში, 6 წელს მომცემთ“, -განაცხადა დაკავებულმა.

როცა მას დაკარგულ ბავშვზე ჰკითხეს, გაოცდა, მეტი საქმე არ მქონდა, ვინმე გამეტაცებინა, მით უმეტეს, ბავშვი. სად უნდა წამეყვანა, რატომ უნდა წამეყვანა და საერთოდ, მე სოფლიდან ვარ ჩამოსული, მთელ ქალაქში ათიოდე კაცს თუ ვიცნობ და მერწმუნეთ, ნაცნობებთან ბინაში ნამდვილად არ შევიდოდიო. იმის მიუხედავად, რომ გამოძიებას დამნაშავეების არ სჯერა, „მოხერხებულ ქურდს“ დაუჯერეს, რადგან იყო რაღაც, რაც მის მიმართ ამ მიმართულებით ნდობას იწვევდა. მაშ, ვინ მოიტაცა ბავშვი და რისთვის, ან რატომ გაუღო ბავშვმა უცნობ ადამიანს კარი, მაშინ, როცა მშობლები ამტკიცებდნენ, რომ გამორიცხული იყო, ბავშვს ვინმე ისეთისთვის ხმა გაეცა, ვისაც არ იცნობდა, კარის გაღებაზე კი საუბარიც ზედმეტი იყო. ოჯახს აშკარად არ უჭირდა, მაგრამ არც იმდენი ფული ჰქონდა, ვინმეს მათი შვილი გამოსასყიდის მიღების მიზნით გაეტაცებინა და რაც მთავარია, გატაცებიდან უკვე სამი დღე იყო გასული და კავშირზე არავინ გამოვიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 9 წლის ბავშვი სხვა რამისთვის იყო გატაცებული, მაგრამ რისთვის?

ამ დროს, ექსპერტიზამ ძალიან საინტერესო დასკვნა დადო. ყოველი შემთხვევისთვის, მათ კარის საკეტი შეამოწმეს და ექსპერტი ირწმუნებოდა, საკეტი არა ნამდვილი გასაღებით, არამედ, ასლით არის გაღებული ანუ ვიღაცამ გასაღების ახალი ეგზემპლარი დაამზადებინაო. ცოლ-ქმარი ამბობდა, გასაღებს მხოლოდ კარის მეზობლებს ვუტოვებდით, როცა ჩვენ დასასვენებლად მივდიოდით, ისინი სახლში საღამოს შუქს ანთებდნენ (იყო ასეთი პრაქტიკა ადრე), დღისით აქრობდნენ, ვითომ სახლში ვიყავით, მაგრამ ისინი ხანში შესული ხალხია, შვილი არ ჰყავთ, ჩვენს შვილს თავს ევლებოდნენ და როცა მათთან ვტოვებდით, ყველაზე მშვიდად მაშინ ვიყავითო. მეტიც, ჩვენს შვილს თანატოლებთან თამაშს მათთან დარჩენა ერჩივნაო.

სამართალდამცავებს კეთილი ზღაპრები არ სჯეროდათ, ამიტომ ცოლ-ქმრის დაკავება გადაწყდა, მაგრამ შინ მარტო ქმარი დახვდათ, ცოლი სოფელში წავიდა, ერთი-ორი კვირა არ ჩამოვაო. სანამ ქმართან ურთიერთობას არკვევდნენ, სოფლის რწმუნებულს დაუკავშირდნენ და დაავალეს, მისი ცოლი მოენახა და გამოეკითხა. რწმუნებულმა ცოტა ხანში დარეკა, მარტო ქალი დავკითხო თუ ის პატარა ბავშვიც, რომელიც თან ახლავსო. ბავშვის გაგონებაზე ძალოვნები დაიძაბნენ, სახელი ჰკითხეს და... დაკარგული ბავშვი სწორედ იქ აღმოჩნდა. მამაკაცის დაკითხვა განყოფილებაში გაგრძელდა.

„წლებია, სოფელში სახლის რემონტი გვინდა, ფული კი არ გვაქვს. შემთხვევით გავიგეთ, რომ ვიღაც ბინებს ქურდავდა, ბავშვებს ატყუებდა. ვიფიქრეთ, რომ ჩვენც ასე მოვქცეულიყავით, ოღონდ ბავშვს ვერ მოვატყუებდით, ამიტომ როცა ისინი შინ არ იქნებოდნენ, მაშინ უნდა გაგვექურდა. გასაღების ასლი ჩუმად გავაკეთე, როცა დაგვიტოვეს, მაშინ. იმ დღეს ბიჭი სკოლაში უნდა ყოფილიყო, სულ ერთ დროს მიდიოდნენ ყველა ერთად, მაგრამ იმ დღეს, თურმე, სიცხე ჰქონდა და შინ დარჩა. სახლში რომ შევედი, იმან გაიგო, შეეშინდა და დაიმალა, მე მშვიდად დავაცარიელე უჯრები და როცა ბინიდან უნდა გავსულიყავი, ბიჭმა ჩუმად გამოიხედა, აინტერესებდა, ვინ ქურდავდა მათ სახლს და მე რომ დამინახა, სიცილი დაიწყო, ეგონა, ვხუმრობდი, მაგრამ როცა ამას მშობლებს მოუყვებოდა, იმათ ნამდვილად არ გაეცინებოდათ, ამიტომ ბაშვს ვუთხარი, რომ მშობლებმა ჩვენთან, სოფელში წაყვანა მთხოვეს, სიცხე რომ გაქვს, ჰაერის გამოცვლა უშველისო. არაფერი უეჭვია, გამომყვა, ცოლთან ერთად დავტოვე და წამოვედი. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მექნა, მაგრამ ველოდი, რომ რამე მოხდებოდა, ან მშობლებს ვეტყოდი, მოხუცი შევცდი და მაპატიეთ-თქო, მაგრამ ვერ ვბედავდი. ახლა კი... ახლა ყველაფერი იცით“, – განაცხადა დაკავებულმა.

იმის მიუხედავად, რომ ბავშვისთვის არაფერი დაუშავებიათ და ის სოფელში ყოფნით ძალიან ბედნიერი იყო, სასამართლომ ცოლს პირობითი სასჯელი მისცა, ქმარს – რეალური.

ბრალი წარედგინა პირს, რომელიც არასრულწლოვან გოგონებთან სქესობრივ კავშირს ძალის გამოყენებით ამყარებდა

საქართველოს პროკურატურამ ორი პირის გაუპატიურების, სქესობრივი კავშირის იძულების, 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარებისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს პროკურატურის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ნდობაში შედიოდა, მათ შორის, არასრულწლოვან გოგონებთან ძალის გამოყენებით ამყარებდა მათთან სქესობრივ კავშირს, ხოლო შემდგომ მუქარითა და სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების შანტაჟით აიძულებდა მასთან ხანგრძლივ, სექსუალური ხასიათის ურთიერთობას.

„სამართალდამცველებმა ბრალდებული 29 სექტემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილით (სქესობრივი კავშირის დამყარება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან), 137-ე მუხლის პირველი ნაწილით (გაუპატიურება); 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურება); 139-ე მუხლის პირველი ნაწილით (სქესობრივი კავშირის დამყარების იძულება); 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სქესობრივი კავშირის დამყარების იძულება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ); 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ფიზიკური ძალადობა ორი პირის მიმართ, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ), 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ფიზიკური ძალადობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება სხვა დაზარალებულების დადგენის მიზნით.

საქართველოს პროკურატურა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე უმკაცრეს სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებს და დანაშაულის ჩამდენი პირი კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

შიდა ქართლის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამამძიმებელ გარემოებაში, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 1995 წელს დაბადებული ა.ი. დააკავეს.

დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მამას – 1956 წელს დაბადებულ უ.ი.-ს სანადირო თოფით, თავის არეში, სასიკვდილო დაზიანება მიაყენა, რის შემდეგაც დანაშაულის დაფარვის მიზნით, ცხედარი თბილისში კუთვნილ აგარაკზე გადაიტანა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების ფაქტზე სასამართლომ უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დამნაშავედ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე, უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე დამნაშავედ ცნო.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ერთ პირს – 10 წლით, ხოლო მეორეს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

„სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულებმა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, დისტანციურად დაამყარეს კომუნიკაცია ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებთან და თითქოსდა კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული მომსახურებისა და ქველმოქმედების განხორციელების საფუძვლით, სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხები მოტყუებით გადმოარიცხინეს საქართველოში, მათთან დაკავშირებული პირების სახელზე.

ბრალდებულებმა ფულის გათეთრების მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხები დაანაწევრეს და სწრაფი ფულადი გზავნილების სახით, ნაწილი – საზღვარგარეთ გადარიცხეს, ხოლო ნაწილი – საბანკო ანგარიშებზე განათავსეს და პირადი საჭიროებისამებრ განკარგეს.

აღნიშნული ქმედებით, ბრალდებულებმა 329 212 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს. სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ერთ პირს – 10 წლით, ხოლო მეორეს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე, მსჯავრდებულებს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა გამოძიების ფარგლებში ამოღებული 211 465 ლარის ეკვივალენტი უცხოური ვალუტა და მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა“, – ნათქვამია პროკურატურის მიერ ინფორმაციაში.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი, ბრიუსელში „წამების წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ორგანიზაციის“ წარმომადგენლებს შეხვდა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი კოკა კაციტაძე, ბრიუსელში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, „წამების წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ორგანიზაციის“ (OMCT) წევრებს შეხვდა.

ამის შესახებ ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, კოკა კაციტაძეს და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებს რეგიონული პროგრამის კოორდინატორმა მაშა ჩიჩენკოვამ და ადამიანის უფლებათა მრჩეველმა ილვია ჰასანოვამ უმასპინძლეს.

„OMCT – არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო კოალიციაა, რომელიც წამებასა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან ბრძოლის მიზნით, 200 წევრ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად მუშაობს.

„წამების წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ორგანიზაცია“ (OMCT), წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) შეხვედრებისთვის ანგარიშების კოორდინაციას უზრუნველყოფს.

სამსახურის უფროსმა უფლებადამცველებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის როლსა და მანდატზე მიაწოდა ინფორმაცია. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამართალდამცავების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების, ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული სხვა ფაქტების გამოძიებისა და ამ პროცესში მსხვერპლთა ჩართულობის საკითხებს. ასევე, ყურადღება გამახვილდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ნაყოფიერ თანამშრომლობაზე უფლებადამცველ ორგანიზაციებთან.

„წამების წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ორგანიზაციის“ წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს წამების, არასათანადო მოპყრობის, ძალადობისა და დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების თაობაზე, ორგანიზაციის მიერ დაგროვილი გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო თანამშრომლობაზე მზადყოფნა გამოთქვეს“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

კვარაცხელია ოცნების გუნდის წინააღმდეგ

ხვიჩა კვარაცხელია დაბრუნდა... ჰო, დაბრუნდა, რადგან 19 მარტის შემდეგ, გოლი არ ჰქონდა გატანილი და ეს მასზე ძალიან ცუდად მოქმედებდა. ქართველ შემტევს ნერვიულობა ეტყობოდა, იყო ეპიზოდები, როდესაც კარში მაშინ ურტყამდა, როცა თანაგუნდელი უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდა და ყველამ იცოდა – ხვიჩას გული სურდა და არავინ საყვედურობდა. თუნდაც გასულ სეზონში, კვარაცხელია 90%-იან მომენტებს სათავისოდ არ იყენებდა, თანაგუნდელს, რომელსაც 100%-იანი შანსი ჰქონდა, პასს დაუმადლებლად აძლევდა. ახლა კი... ახლა მისგან ყველა გოლს ელოდა და გაიტანა კიდეც. თანაც, როგორი გაიტანა – თავად მოჰპარა მცველს ბურთი, თავად დააწვინა მეტოქე და ცარიელ კარში მშვიდად შეაგორა. მერე კი... მასთან ერთად, მთელი გუნდი და სტადიონი აფეთქდა. იმ მატჩში ხვიჩამ პენალტიც მოიპოვა, საგოლე გადაცემაც შეასრულა ანუ მთელი თავისი სიდიადით წარსდგა და აკი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც დამსახურებულად და ყველაზე მაღალი შეფასებით მოხვდა.

კვარაცხელია ფორმაშია... პიკზე არა, მაგრამ ისეთ ფორმაშია, ნებისმიერ მეტოქეს სერიოზულ პრობლემას რომ შეუქმნის და მომავალი მეტოქე მისი ოცნების გუნდია – 3 ოქტომბერს, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში, „დიეგო მარადონაზე“ სათამაშოდ მადრიდის „რეალი“ ჩადის. ტურის ცენტრალური შეხვედრაც სწორედ ესაა და ზოგადად, როცა ლიგის ყველაზე მეტჯერ მომგები გუნდი გსტუმრობს, ეს დღის კი არა, თვის მოვლენაა. ნეაპოლი ემზადება „სამეფო გუნდის“ დასახვედრად და გულშემატკივრებს მოგების გარდა, სხვა შედეგის გაგონება არ სურთ. არადა, ლიგაზე „რეალის“ დამარცხებას მხოლოდ სიძლიერე კი არა, იღბალიც სჭირდება იმიტომ, რომ მადრიდელები ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე სხვანაირად ბურთაობენ, სხვანაირი ჟინით გამოდიან. ყოფილა შემთხვევები, როცა ეროვნულ ჩემპიონატში „რეალი“ უფერული იყო, ჩემპიონთა ლიგაზე – დაუმარცხებელი.

ზაფხულის სატრანსფერო სეზონზე არაერთხელ დაიწერა, რომ „რეალს“ კვარაცხელიას გადაბირება სურდა, მაგრამ ტრანსფერი არ თუ ვერ გაიჩარხა. მეორე მხრივ, არც გუნდის თავკაცი კარლო, ანჩელოტი მალავს, რომ ხვიჩა მისთვის საინტერესო ფეხბურთელია და არც კლუბის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი უარყოფს, რომ კვარაცხელიას ყიდვის ინტერესი ჰქონდა და აქვს. ჰოდა, 3 ოქტომბერს შანსია, შანსი იმისა, რომ კვარაცხელიამ ოცნების გუნდის ბოსებს დაუმტკიცოს, ზაფხულის ტრანსფერების დროს შეცდნენ, როცა არ გადაიბირეს და გვერწმუნეთ, თუ ხვიჩა „რეალს“ გაუტანს, ამ გუნდისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს.

მიქაუტაძეს ისევ არ ათამაშებენ

როცა გიორგი მიქაუტაძე ფრანგული „მეციდან“ „აიაქსში“ გადავიდა, ყველას ძალიან გაუხარდა, რადგან ამსტერდამული კლუბი მუდმივად არის გრანდების რადარზე და საკმარისი იყო, მას გაებრწყინა, ბევრად დიდ კლუბში გადასვლაში ხელს არაფერი შეუშლიდა, მაგრამ...

ყველასთვის მოულოდნელად, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი პირველ მატჩში ათამაშა, მეორე შეხვედრაში შეცვლაზე შეიყვანა, შემდეგ კი, მყარად განაწესა სათადარიგოთა სკაამზე და ერთ წუთსაც აღარ აძლევს. ჰოლანდიურ მედიას კითხვები გაუჩნდა, 16 მილიონად ნაყიდი ფეხბურთელის სკამზე დასმა ყველას ეუცნაურა და გაირკვა, რომ მიქაუტაძის შეძენა კლუბის სპორტულ დირექტორს, სვენ მისლინტატს სურდა და არა მთავარ მწვრთნელს. თურმე, გუნდის თავკაცი მაურის სტეინი ნახევარმცველის ყიდვას ითხოვდა და არა ფორვარდის...

„ფეიენოორდთან“ საშინაო მარცხის შემდეგ, ყველა ელოდა, რომ გუნდიდან სწორედ სტეინს გაუშვებდნენ, მაგრამ ხელმძღვანელობამ სპორტული დირექტორი მოხსნა ანუ ის კაცი, ვინც მიქაუტაძის შეძენა დაიჟინა და სურვილი აიხდინა კიდეც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გიორგის მდგომარეობა უფრო დამძიმდა. ჰოლანდიური მედიის ცნობით, სტეინი მზად არის, მიქაუტაძე ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშოს ანუ იქ, სადაც ქართველს არასდროს უთამაშია და როგორც ჩვენი ნიდერლანდელი კოლეგები წერენ, მიქაუტაძეს უთქვამს, უჩვეულო პოზიციაზე თამაშს, ისევ სათადარიგოთა სკამზე ყოფნა მირჩევნიაო.

ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ეს ამბავი, მაგრამ უთამაშებლობა თავად გიორგისთვის ხომ ძალიან ცუდია და საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვისაც ვერ არის კარგი ამბავი.

„ბორჯღალოსნებმა“ ისევ წააგეს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, მესამე ტურის შეხვედრა გამართა და აშკარად ძლიერ ფიჯისთან დაძაბულ ბრძოლაში, 17:12 დამარცხდა. არადა, პირველი ნახევარი ისე წარიმართა, უკეთესს ვერც ვინატრებდით – ჩვენმა გუნდმა სამი უპასუხო ჯარიმა გაიტანა და შესვენებაზე 9:0-ით გავიდა. იტყვის კიდეც ნამატჩევს ფიჯელთა თავკაცი, გაგვიმართლა, პირველ ნახევარში უფრო დიდი სხვაობით რომ არ წავაგეთო. აშკარა იყო, ფიჯი ქართველებისგან ასეთ თამაშს არ ელოდა და ამიტომ, მეორე ნახევარში სხვა გუნდი გამოვიდა.

იმედი იმისა, რომ სასწაული მოგვეხდინა, მაშინ გაჩნდა, როცა მსაჯმა მეორე ნახევრის დაწყებიდან მალევე, მეტოქე მორაგბე გააძევა, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების ნაცვლად, ლელო აქეთ მივიღეთ. ამ ლელომ ქართველები დააბნია, არია და საბოლოოდ მარცხი არ აგვცდა. მუნდიალის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, საქართველო უელსს ხვდება და არის შანსი იმისა, რომ 7 ოქტომბერს გამარჯვება ვიზეიმოთ, მით უმეტეს, უელსი დამარცხებული გვყავს, მაგრამ მეტოქეს ჩვენი დამარცხების შემთხვევაში, ჯგუფიდან გასვლა განაღდებული აქვს და ამიტომ, თავს არ დაზოგავენ.

ძიუდოისტები ევროპისთვის დაირაზმნენ

3-5 ნოემბერს, საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში, ძიუდოისტთა შორის ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. შარშან გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ქართულ-მა დელეგაციამ ოთხი მედალი მოიპოვა – ოქროები ტატო გრიგალაშვილმა და ლუკა მაისურაძემ აიღეს, ბრინჯაოს მედლები – გურამ თუშიშვილმა და ეთერ ლიპარტელიანმა. ყველას აინტერესებდა, კონტინენტის პირველობაზე რა შემადგენლობას დააყენებდა ლაშა გუჯეჯიანი და აგერ, სიაც გვაახლა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაკრები მონპელიეში უძლიერესი შემა-დგენლობით მიდის და ყველაზე ცუდ შემთხვევაში, შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას ველით.

-60 კგ. – გიორგი სარდალიშვილი;
-66 კგ. – ვაჟა მარგველაშვილი;
-73 კგ. – ლაშა შავდათუაშვილი;
-81 კგ. – ტატო გრიგალაშვილი;
-90 კგ. – ლუკა მაისურაძე, ლაშა ბექაური;
-100 კგ. – ილია სულამანიძე;
+100 კგ. – გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი.

გორგოძემ კარიერაში 58-ე ტიტული მოიგო

31 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა, ეკატერინე გორგოძემ კარიერაში 58-ე ტიტული მოიგო. იტალიურ სანტა მარგარიტა დე პაულაში მიმდინარე საერთაშო-რისო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდიც 25 ათასი დოლარი გახლდათ, გორგოძემ წყვილთა თანრიგში იმარჯვა.

საინტერესოა, რომ მოგებული 58 ტიტულიდან, 33 მათგანი, გორგოძეს წყვილთა თანრიგში აქვს მოგე-ბული, მათ შორის, ორი – WTA-ს ეგიდით, ხოლო ოთხი – WTA-ს ჩელენჯერზე.

„საბურთალოდან“ ომარ თეთრაძე გაუშვეს

როცა სეზონის წინ, „საბურთალოს“ მთავარ მწვრთნელად ომარ თეთრაძე დაინიშნა, ყველას ეგონა, რომ გუნდი სხვა ფეხბურთს ითამაშებდა, რადგან თეთრაძეს საერთაშორისო გამოცდილება უმაგრებდა ზურგს. „საბურთალომ“ მართლაც მძლავრად დაიწყო, პირველ წრეში ჩემპიონატს ლიდერობდა კიდეც, უშუალო კონკუ-რენტი თბილისის „დინამო“ ორჯერ დაამარცხა, მაგრამ ბოლო ტურებში სიტუაცია შეიცვალა – თითქოს, გუნდი გაჩერდა და ვეღარ ვითარდებოდა.

ზედიზედ წაგებული ორი მატჩის შემდეგ, „საბურთალოს“ გასახდელში, კლუბის მფლობელი, ტარიელ ხეჩი-კაშვილი ჩავიდა და როგორც გვეუბნებიან, ფეხბურთელებთან ხმამაღალი საუბარი ჰქონდა. მოთამაშეებთან ასეთი დამოკიდებულება თეთრაძეს არ მოეწონა და წასვლაზე განცხადება დაწერა, რომელიც კლუბის ხელმ-ძღვანელობამ არ დააკმაყოფილა და თეთრაძე თანამდებობაზე დატოვეს.

მერე იყო მატჩი თბილისის „დინამოსთან“, რომელიც „საბურთალომ“ მინიმალური სხვაობით წააგო და ამჯერად თეთრაძეს კარისკენ მიუთითეს. უდიდესი ალბათობით, გათავისუფლებულ პოსტს „საბურთალო-2“-ის დამრი-გებელი, უჩა სოსიაშვილი ჩაიბარებს, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

საზონოვი ძირითადს იმსახურებს

იტალიის სერია A-ში მოთამაშე კიდევ ერთი ქართველი, საბა საზო-ნოვი მოედანზე გასულ ტურში, „ლაციოსთან“ შეხვედრაში გამოჩნდა. საბამ მატჩი სათადარიგოთა შორის დაიწყო, მაგრამ 27-ე წუთზე მისი თანაგუნდელი დაშავდა და საბა მოედანზე შევიდა, რომელსაც რომაელთა კაპიტნისა და მთავარი დამრტყმელის, ჩირო იმობილეს შეჩერება დაევალა.

„არავინ ელოდა, რომ საზონოვი ასე ითამაშებდა. მან იმობილეს გასაქანი არ მისცა და „ტორინოს“ ეს გოლიათი, მომავალ შეხვედრებში კიდევ არაერთ ფორვარდს გაამწარებს. საბა ძირითად შემადგენლო-ბაში თამაშს უპირობოდ იმსახურებს და იმედია, ამას ტურინული კლუბის ხელმძღვანელობაც მიხვდება“, – წერს იტალიური მედია.

მოგეხსენებათ, საზონოვი საქართველოს ნაკრების ძირითადში ნელ-ნელა მკვიდრდება და იმედი გვაქვს, იგივეს „ტორინოშიც“ გა-აკეთებს, დამაჯერებელი ასპარეზობის შემდეგ კი, არც ტოპ-კლუში გადასვლის პერსპექტივაა შორს.

ნუგზარ შატაიძე

ვენახის ანგელოზები

ახალშეწამლული, ჯერ ისევ სველი ვაზი მზეზე სხივის. ძირს დაშვებულ, სისველისაგან დამძიმებულ ფოთოლს შაბიამნის წვეთები სცვივა და ფხვიერ მიწაში იჟონება. სიჩუმეს მხოლოდ მათი ტკაპატკუპის ხმა არღვევს. უეცრად იმ ხმას წყლის თქაფუნი შეერევა: წელზევით შიშველი, შაბიამნის ხსნარით თავპირშეღებილი გოგია საგუბართან წაკუზულა და ხელებს იბანს. წყალს პირზეც რომ შეისხამს და სახეს ჩამოიბანს, მაშინღა გამოჩნდება, რომ შუახნის გამხდარი, სქელულვაშა, ოდნავ შემელოტებული კაცი ყოფილა. კარგად რომ გაიღვრიჭება, შესაწამლი აპარატისთვის მაშინღა მოიცლის: გარეცხავს, გააჩახჩახებს, მილებსაც დაშლის და საგულდაგულოდ გააკრიალებს. ბოლოს, აპარატის ნაწილებს გასაშრობად ყორეზე ჩამოამწკრივებს, შაბიამნით გათხუნულ პერანგს აიღებს და ქოხისკენ გასწევს.

მოკრიალებულ ცაზე ცხრათვალა მზე ღუდღუდებს. მზვარეზე ჩაფენილ, ლურჯად დაფერილ სველ ვენახს თხელი, სიფრიფანა ორთქლი ასდის. შორიდან გუგული იძახის. თავდავიწყებით უსტვენს ვერცხლისფერ ფშატზე შემომჯდარი შაშვიც.

გოგია ქოხში გამართულ ხის ტახტზე ზის, ტანზე სუფთა პერანგი აცვია, ზურგით კედელს მისწოლია და უფილტრო სიგარეტს ნეტარებით აბოლებს. ტახტის თავთან ხისგანვე გამოჩორკნილი მაგიდაა მიდგმული, ზედ ერთი ნათალი ჭიქა, საფერფლე (კონსერვის ცარიელი ქილა) და გაზეთში გახვეული რაღაც დევს. კედელზე ადამისჟამინდელი, გაშავებული ჭრაქი ჰკიდია. მოულოდნელად გუგული გაჩუმდება, შაშვიც ხმას გაკმენდს და გარეთ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება. გოგია თავს ასწევს და ვენახს გახედავს. იქ ნიავი არ იძვრის – გასუსულები დგანან ვაზები. გოგია წამოიწევს, სიგარეტის ნამწვს კონსერვის ქილაში ჩასრესს და თან იმ ვაზებს თვალს არ აცილებს. უეცრად, თითქოს ნადირი რამ შემოვარდაო, ვენახში სისინით გაივლის ქარი და იქაურობას აახმაურებს. ელდანაკრავი გოგია წამოდგება და გარეთ გავა. თითქოს პატრონის გამოჩენამ დააფრთხოო, ქარი უმალ ჩადგება. ვენახი ჩაჩუმდება, გაინაბება, ვაზებს ოდნავ, სულ ოდნავღა უთრთის ფოთლები. მოულოდნელად იმ სიჩუმეში საშინლად დაიგრუხუნებს და გოგიას მაღლა აახედებს: თრიალეთიდან ერთი უშველებელი, ჩაშავებულ-ჩაბოროტებული ღრუბელი მოდის, თანდათანობით იზრდება, ფუვდება და რუხრუხითა და ჭექა-ქუხილით ახლოვდება.

გოგია უმწეოდ მიიხედ-მოიხედავს, ახალშეწამლულ ზვარს თვალს მოავლებს და თითქოს ამას ელოდებოდაო, ისევ მოვარდება ის გიჟი ქარაშოტი, ვაზებს მიურევ-მოურევს, ვენახის ჭიშკარს გააღებს და მოაჯახუნებს, გააღებს და მოაჯახუნებს. გოგია ქვემოთ გაიქცევა, ჭიშკარს, რომელსაც ქარი ხელიდან სტაცებს, ჩარაზავს და სწორედ ამ დროს იელვებს, მიწას საშინელი გრუხუნი შეაზანზარებს და მაღლიდან დგრიალით წამოვა წვიმის მსხვილი წვეთები. ჰაერში სველი მიწის თბილი ოხშივარი დატრიალდება. აქამდე გაჩახჩახებული, განათებული გარემო ახლა ერთბაშად მოიმრუშხება და ჩამობნელდება. ზოგჯერ იქაურობას ღრუბლებში გაკლაკნილი ელვა თუ გაანათებს.

წვიმს, ალმაცერად უჟაჟუნებს და თითქოს სული ჩაიდგაო, ვენახი ათასნაირი ხმით ივსება: ისმის შიშინი, წყლის ჩხრიალი, წვიმის ჩქაფუნი და კიდევ რაღაც უცნაური, შორეული გუგუნი. გოგია ნირწამხდარი დგას და წვიმას უყურებს: ცა ფეხად ჩამოდის, ვაზებს წურწურით გასდის შაბიამნიანი წყალი და მიწა წამლისფრად იღებება. გამტკნარებული ხედავს, როგორ ერთბაშად ეყრება წყალში მთელი იმდღევანდელი ნამუშაკარი, რანაირად ირეცხება რის ვაინაჩრობით შეწამლული ვაზი და ნელ-ნელა უსივდება გული, მაგრამ თურმე, ეგ კიდევ არაფერი!

ჩამუქებულ ცაზე კვლავინდებურად გაიკლაკნება ელვა და დედამიწას შემზარავი გრუხუნი შეარყევს. აცახცახდებიან ვაზები, უცნაურად დაიკვნესებს ბებერი, გვერდზე გადახრილი ფშატიც და უეცრად რაღაც ახმაურდება, ახრიალდება და წვიმას სეტყვა გამოერევა. სეტყვის მსხვილი მარცვლები კენჭებივით ხტიან ფშატის ტოტებზე, ყორეზე, მიწაზე. გოგია თავზე ხელებს წაიფარებს და ქოხისკენ გაიქცევა. ქოხში თავშეფარებული, კარში ჩამდგარი გასცქერის ციდან დაშვებულ დელგმას. ვაზები აღარ ჩანს, საშინელი ლაწალუნისა და წვიმის ჩხრიალის მეტი აღარაფერი ისმის. მიწა სეტყვის თოვლივით თეთრი საბურველით იმოსება. გამტკნარებული სახით უყურებს ამ სურათს, უაზროდ მისჩერებია ჰაერში მოხტუნავე ყინულის ნატეხებს და მიწაზე დაფენილ ფოთოლს.

როდის-როდის ქარი ჩადგება, სეტყვაც გადაიღებს. სამაგიეროდ, ახლა წვიმა იმძლავრებს. ვენახიდან გამოვარდნილი ნიაღვრები სეტყვის მოლურჯო მარცვლებს ყორის ძირში მიხვეტავს. ბოლოს, როგორც იქნება, წვიმაც მოიტეხინებს. ახლა ოდნავღა ცრის. გოგია წელათრეული გავა და ვაზების მწკრივს ქვემოთ ჩაუყვება. ვენახი გატიალებულა. ტალახში ალუფხულა სეტყვის დიდრონი მარცვლები, დაფლეთილი ფოთოლი და ყვავილიდან ახალგამოსული მტევანი. უხმოდ ათვალიერებს გავერანებულ ვენახს, ვაზების მაღლა აფშეკილ, ცარიელ რიკებს, მიწაზე დაფენილ დაგლეჯილ ფოთოლსა და ლერწს.

ერთგან შედგება, ძირში გადატეხილ, წაქცეულ სარს წამოაყენებს, მაგრამ ხელს გაუშვებს თუ არა, სარი ისევ წაიქცევა და ვაზსაც თან გადაიტანს. ახლა მეორეგან გაჩერდება, ჩაცუცქდება და ფრთებგაფართხულ, ტალახში ჩაზელილ შაშვს დააცქერდება. კარგა ხანს ზის და მკვდარ ჩიტს ჩუმად ათვალიერებს, მერე, ფრთის წვერში სამ თითს წაავლებს, ასწევს, გაიქნევს და ღობის იქით, გზაზე გადააგდებს.

წვრილი, ნემსივით წვრილი წვეთები სახეს უჩხვლეტენ, მაგრამ გოგია ვერაფერს გრძნობს, გარინდებული დგას და გაპარტახებულ ვაზებს უსიტყვოდ უყურებს. ბოლოს, ქოხისკენ დაიძრება, კალოშებს მიწაზე უილაჯოდ მიაფრატუნებს, აღარც ტალახს ერიდება და აღარც – წყლის გუბეებს. ქოხში შესული ტახტზე ჩამოჯდება, მერე, გულაღმა გადაწვება, თვალებს დახუჭავს და ხელებს მუცელზე დაილაგებს. ავად ჩამოწოლილ სიჩუმეს წვიმის ფაჩუნი არღვევს. უეცრად ჭიშკარი გაჯახუნდება და ამას გოგიას ცოლის ტირილნარევი ხმაც ზედ მოჰყვება.

– უი, მამიკვდეს თავი, ეს რა უქნია ამ ჩამოსანგრევსა ამასა, რა უქნია ესა, ქაა!

გოგია არ ინძრევა, წევს და ესმის ცოლის ფლიქვინი, იმისი ფეხის ხმა და როცა ქალი ქოხის კარში შემოიხედავს, თვალებს მაშინღა გაახელს, უსიტყვოდ ახედავს და ისევ დახუჭავს.

– რა იყო ესა, ეს რა ღვთის რისხვა იყო, კაცო?!

რაკი ქმარი პასუხს არ გასცემს, ქალი ქოხში შემოვა და კუთხეში მიდგმულ კუნძზე ჩამოჯდება. თვალებდახუჭული გოგია ჩუმად წევს. ქალი იდაყვებით მუხლებს დაებჯინება, სახეს ხელისგულებში ჩარგავს, უსიტყვოდ ზუზუნებს და სასოწარკვეთილი ირწევა.

გარეთ ისევ ცრის. ნისლის სახურავიდან ჩამონადენ წვიმის წვეთებს გუბეში წკაპუნი გაუდის. ბოლოს ქალი თავს ასწევს და მიცვალებულივით გულაღმა გაშოტილ ქმარს მიაჩერდება:

– რას გაჩუმებულხარ, კაცო, თქვი რამე, ხმა ამოიღე!

გოგია ოდნავ შეირხევა, მაგრამ თვალებს მაინც არ ახელს. ქალი წინ გადაიხრება და ტანზე ხელს მოუფათურებს:

– აი, დასველებულხარ, გოგი, ადექი, გენაცვალე, აბა, ადექი.

გოგია არ ინძრევა.

– ადექი, ადექი, წავიდეთ შინა, ოხრათაც დარჩენილა აქაურობა.

გოგია ახლაღა გაახელს თვალს და ცოლს უსიტყვოდ მიაჩერდება.

– ადე, კაცო, უნდა გასცივდე და მოკვდე, არაა?

– წადი, ადამიანო, სახლში.

– მე უშენოთ არსადაც არ წავალ!

გოგია ტახტზე წამოჯდება, ფეხებს ძირს ჩამოუშვებს და ცოლს პირგამეხებული მიაჩერდება:

– წადი-მეთქი, დედაკაცო, შინა!

ჩუმად უყურებენ ერთმანეთს. ქალს ცრემლიანი თვალები თანდათანობით უშრება, ადგება, ქოხიდან უსიტყვოდ გავა და ქვემოთ დაეშვება.

ჭიშკრის მოჯახუნების ხმას რომ გაიგონებს, გოგია დაგორგლილ გაზეთს გაშლის, სადაც პურის გამხმარი, გაკოროწებული ნამტვრევები ყოფილა გახვეული, დაიხრება, ტახტქვეშ ხელს შეჰყოფს, იქიდან ღვინით სავსე სამლიტრიან ‘შტოფს~ გამოიღებს და წინ დაიდგამს. საცობის მოხსნაზე კარგა ხანს იწვალებს, მერე, ჭიქას მისწვდება, საჩვენებელი თითით გამოწმენდს და ღვინით გაავსებს. გარეთ ისევ ცრის, თუმცა იქით აღარც კი უნდა გახედვა. ჭიქას აიღებს, ქოხის გაშავებულ ჭერს მიაჩერდება, რაღაც გაუგებარს ჩაილაპარაკებს და დალევს. ერთხანს გაუნძრევლად ზის, მერე, ხალათის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს ამოიღებს, იქიდან ერთ ღერს ამოაძვრენს, მაგრამ აღარ მოუკიდებს, ჭიქას შეივსებს, ისევ დაიჩურჩულებს რაღაცას, გამხმარი პურის ნატეხს რამდენიმე წვეთს დააპკურებს და ღვინოს ნება-ნება დალევს. მერე, ფიქრში წასული, სიგარეტის ღერს ჩაიდებს პირში და მოუკიდებს. ჩუმად, ჯავრიანად აბოლებს. ბოლოს, მესამედაც დაისხამს.

უეცრად, თითქოს შუქი აანთესო, მაგიდის ზედაპირს კედლის ჭუჭრუტანიდან შემოჭრილი მზის სხივი დაეფინება და ქოხი განათდება. გოგია თავს მიაბრუნებს და გარეთ გაიხედავს – წვიმას გადაუღია, ცას ღრუბელი გადაუყრია და იქიდან მზე ისე უზრუნველად, ისეთი ალერსით იყურება, თითქოს ამ არემარეზე სულ არაფერი მომხდარაო. გოგია სიგარეტის ნამწვს თუნუქის კოლოფში ჩააქრობს, სასმისს აიღებს, მაღლა ასწევს, მიიხედ-მოიხედავს, ჩახრინწული ხმით რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ჩაილაპარაკებს, დალევს და ცარიელ ჭიქას მაგიდაზე ხმაურით დადგამს. მერე, იქაურობას მოაწესრიგებს – პურის ნატეხებს ქაღალდში შეახვევს, ‘შტოფს~ საცობს მოარგებს და ისევ ტახტქვეშ შედგამს. ერთხანს კიდევ ზის და კარის ღიობიდან ვენახს უყურებს, ბოლოს, წამოდგება, ხალათს გაიხდის, ლურსმანზე ჩამოკიდებულ, შაბიამნის ხსნარით გათხუნულ, ჯერ ისევ სველ პერანგს ჩამოიღებს და ჩაიცვამს.

მზეზე ჩამთბარ, გავერანებულ ვენახს სიფრიფანა ორთქლი ასდის, გაღმა, ახოებში გუგული იძახის. გოგია ჭერის ფიცრებიდან ჯერ წალდს ჩამოიღებს, მერე, – ერთად შეკრული ‘პრეჟის~ კონას, ბოლოს, – სასხლავს, ყველაფერს მაგიდაზე დაამწკრივებს და გარეთ გავა. სეტყვის ნამოქმედარი მზის ნათელში უფრო ცხადლივ მოჩანს: დალეწილა, გაუბედურებულა ვაზი, იქაურობა ცერისსიმსხო, მსხმოიარე ლერწითა და დაფლეთილი ფოთლით მოფენილა. გოგია მწკრივებს დაუვლის, გადამტვრეულ, წაჩეხილ სარებს მოაგროვებს, დაიიღლიავებს, ქოხთან ამოიტანს და ძირს დაყრის. მერე, ქოხიდან კუნძს გამოაგორებს, წალდსაც გამოიტანს, ჩაცუცქდება და სარების ჩეკვას (წვერების წათლას) იწყებს. ამ საქმეს რომ მორჩება, სასხლავს აიღებს და ვენახის განაპირა მწკრივს ჩაუყვება. სხლავს, ვაზებს ჩამოლეწილ ლერწებს აჭრის, გადარჩენილი, მაგრამ ფოთოლდაგლეჯილი რქა სამ კვირტზე დაჰყავს და იმ ფოთოლსაც მკაცრი, დაუნდობელი დალაქივით პარსავს.

მოსარკულ, მოკარკაცებულ ცაზე დასავლეთისკენ გადახრილი მზე ანათებს და ატალახებულ მიწას თვალდათვალ აშრობს. ახოებიდან ისევ იძახის გუგული.

სხვლას რომ მორჩება, გოგია თავს ასწევს და დაინახავს, რომ მზე ჩასასვლელად დაღერილა – სულასწრაფებული გადადის დანახვისის სერზე, რაღაცნაირი ზეიმური სიხარულით ეთხოვება აქაურობას, ალერსიანი, ალმაცერი სხივებით ეფერება გაკორტნილ, გასაცოდავებულ ვაზებს და როცა ბოლოს, ჩამუქებულ ქედს ჩაეფარება, ვენახი ჩაყუჩდება, გაირინდება და შიგ ბინდისპირის სიმშვიდე დაისადგურებს.

გოგია აჩქარდება: ახლა მწკრივებიდან ნასხლავი და სეტყვის ნალეწი გამოაქვს და ვენახის ბოლოში ახორავებს. სულ მალე იქ მტევნის, ლერწისა და შემჭკნარი ფოთლის უშველებელი გორა დადგება. გოგია თავს ასწევს და დასუფთავებულ, დამასმასებულ ვენახს მზერას მოავლებს.

შორიდან ისმის საძოვრებიდან სოფელში მობრუნებული საქონლის ბღავილი და ძაღლების ყეფა. დაღლილი და ფეხებდამძიმებული ავა ქოხთან, ცემენტის ავზს სახურავს ახდის და შიგ ჩაიხედავს – კიდევ ბლომად დარჩენილა შაბიამნის ხსნარი. გოგია აპარატს ააწყობს და წამლით გაავსებს.

ბინდდება. ტყისპირიდან ჭოტი იძახის.

გოგია ვაზს წამლავს, აპარატის სახელურს მონოტონურად ამოძრავებს და სანამ მთვარე ამოვიდოდეს, ვარაუდით ასხურებს შაბიამანს. მერე კი, ცაზე დიდი, უშველებელი მთვარეც გამოჩნდება და იქაურობას დღესავით გაანათებს.

გასხლულ, აქა-იქ ფოთოლშერჩენილ ვაზებს შაბიამნის წვეთები სცვივა და ფხვიერ მიწაში იჟონება. ღამის სიჩუმეს მხოლოდ მათი ტკაპატკუპის ხმა არღვევს.

დაღლილობისაგან გასავათებული გოგია ცემენტის ავზის ძირში ზის, ზურგით მის კედელს მიყრდნობია და სძინავს. იქვე გდია დაცლილი, გადაბრუნებული აპარატიც. შაბიამნისფრად შეღებილ, სამერმისოდ გასხლულ ვენახს სავსე მთვარე დანათის. მთვარის ოქროსფერი შარავანდი ადგას თავზე მძინარე გოგიასაც და უეცრად იმ ნათელში, როგორც ფოტოქაღალდზე, ისე თანდათანობით ისახება ჯერ ნაბდისქუდიანი, ულვაშაპრეხილი, მოღიმარი ბერიკაცი, მერე კი, – ჩიხტიკოპიანი დედაბერიც.

ქათმების ენასაც გავიგებთ

სწავლულებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან, ქათმების ენის თარჯიმანი შექმნეს. ის ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე მუშაობს. სიახლე იყენებს „ღრმა ემოციური ანალიზის“ ტექნოლოგიას ანუ განასხვავებს ფრინველების ემოციებს. მოწყობილობა 80 დედალსა და მამალზე დატესტეს. გამომგონებლები გვარწმუნებენ, რომ მათი „სასწაული მანქანის“ მეშვეობით შევძლებთ, გავიგოთ, კმაყოფილები არიან თუ არა ფრინველები, განიცდიან თუ არა აღფრთოვანებას, ან თუ ეშინიათ რამის. სწავლულები ამტკიცებენ, რომ „ქათმების ენა“ განსხვავებულია, მათი ჯიშების გათვალისწინებით.

„ჭკვიანი“ რესპირატორი შექმნეს

ჯეიმს დაისონის ყოველწლიური პრესტიჟული პრემია, რომელსაც მედიცინის სფეროში მიღწევებისთვის გადასცემენ, „ჭკვიანმა“ რესპირატორმა დაიმსახურა, დიდი ბრიტანეთიდან. ეს პატარა მოწყობილობა ხელოვნურ ინტელექტზე მუშაობს. სწავლულთა ჩანაფიქრით, აპარატი სასუნთქ ორგანოებში ზედმეტი ლორწოს დაგროვებას ითვლის. მიიღებს რა მონაცემებს, ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით, მოწყობილობა სასუნთქი გზების გაწმენდას იწყებს. ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერები აცხადებენ, რომ მათი „ჭკვიანი“ რესპირატორი მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ფიზიოთერაპევტების შრომას. ნისლიან ალბიონზე, სამედიცინო სიახლის სერიულ წარმოებას მომავალი წლიდან გეგმავენ.

Durex-ი მოხალისეებს იწვევს

პრეზერვატივების მწარმოებელი პოპულარული კომპანია Durex-ი მოხალისეებს აგროვებს. ბრენდმა გადაწყვიტა დაამტკიცოს, რომ პრეზერვატივს შეუძლია, სექსი უფრო სასიამოვნო გახადოს და მოიფიქრა ახალი პროდუქტი Durex Nude – ჩასახვის საწინააღმდეგო ყველაზე თხელი და ყველაზე ახალი საშუალება. ჰოდა, მთელ მსოფლიოს რომ დაუმტკიცონ მისი უნიკალური თვისება, 50-კაციან მოხალისეთა ჯგუფს აკომპლექტებენ. სხვათა შორის, ყოველი მიმოხილვისას კომპანია 4 ათას დოლარს გადაიხდის.

საბერძნეთში ცხვრები „ჩაკაიფდნენ“

საბერძნეთში, ფესალიაში, ცხვრების ფარა კანაფის პლანტაციაში შეიპარა და მთელი მოსავალი, დაახლოებით, 100 კილოგრამი კანაფი შეჭამა. შტორმ „დანიელის“ მიერ გამოწვეული წყალდიდობის გამო, ცხოველებს საკვები შემოაკლდათ და ახალი ბალახის ძიებაში, ქალაქ ალმირესის მახლობლად მდებარე სათბურს მიადგნენ, სადაც სამედიცინო კანაფი მოჰყავდათ. დამშეულმა პირუტყვმა „მარიხუანას“ მთელი მოსავალი გადასანსლა. მწყემსმა კი შეამჩნია ცხვრების უცნაური ქცევა, მაგრამ მიზეზი რა იყო, ვერაფრით მიხვდა.

„არ ვიცი, ვიცინო თუ ვიტირო. ჯერ დიდმა სიცხეებმა გადაგვიხმო მოსავალი, მერე წყალმა წაიღო და რაც დარჩა, ისიც ცხვრებმა შეგვიჭამეს“, – აცხადებს სათბურის მფლობელი.

გამომძალველობისთვის თოჯინა დააკავეს

მექსიკის სამართალდამცავებმა თოჯინა-დემონი „ჩაკა“... გამომძალველობისთვის დააპატიმრეს. თუმცა, პოლიციის განყოფილებაში 40 წლის მეთოჯინე მოხვდა, რომელიც ამ სათამაშოთი „ფულს შოულობდა“. ის ადამიანებს დანით თავს ესხმოდა და ფულს ითხოვდა. თავდასხმის იარაღი მას კი არა, თოჯინას „ეჭირა“ ხელში. პოლიციელებმა ბორკილებიც სწორედ „ჩაკას“ დაადეს. ამის გამო, სამართალდამცავს, რომელიც დაკავების ოპერაციას ატარებდა, საყვედური გამოუცხადეს საქმისადმი არასერიოზული მიდგომის გამო. თაღლითსა და მის თოჯინას კი ბრალი წაუყენეს. შეგახსენებთ, რომ თოჯინა „ჩაკა“ საშინელებათა ფილმის – „საბავშვო თამაშების“ გმირია.

პომიდვრის წვენი წნევას არეგულირებს

ტომატის წვენის წყალობით, შესაძლებელია არტერიული წნევის დაქვეითება და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკის შემცირება, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იაპონელი სწავლულები. მათ კვლევებში 500-ზე მეტი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ერთი წლის განმავლობაში, ისინი ტომატის წვენს იღებდნენ მარილის გარეშე. აღმოჩნდა, რომ მათგან 100-მდე მოხალისეს, რომელთაც ჰიპერტონია ჰქონდათ, მნიშვნელოვნად დაურეგულირდათ წნევა. გარდა ამისა, ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ექსპერიმენტში მონაწილეებს სისხლში ქოლესტერინის გადამტანი ლიპოპროტეინების დონეც შეუმცირდათ.

მოსახლეობის კლების გამო მარკეტები იხურება

ამომავალი მზის ქვეყანაში, მოსახლეობა ბერდება და მისი რაოდენობის კლების ტენდენციაც შენარჩუნებულია. ამის გამო, ბევრი სუპერმარკეტი იხურება, რაც სირთულეებს უქმნის ხანდაზმულებს – საჭირო პროდუქტებზე ჰქონდეთ წვდომა. ჩატარებული კვლევებით, იაპონიაში 8.2 მილიონ ადამიანს ანუ 65 წელს გადაცილებულთა თითქმის მეოთხედს უჭირს საყიდლებზე მაღაზიებამდე მიღწევა. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ცდილობენ, მობილური სავაჭრო ფურგონები წაახალისონ და ავტობუსების ახალი ხაზები დანიშნონ შორს მყოფ სუპერმარკეტებამდე. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ 2056 წლისთვის, ქვეყნის მოსახლეობა 100 მილიონ ადამიანს ჩამოსცდება. 2020 წლის მონაცემებით, იაპონიის მოსახლეობა 126.15 მილიონს შეადგენს. გასულ წელს კი, მოსახლეობის კლებამ რეკორდული – 556 ათასი ადამიანი შეადგინა.

ალცჰაიმერის ვაქცინას გამოსცდიან

აშშ-ში, ალცჰაიმერის სამკურნალო ნაზალური ვაქცინის კლინიკური ცდები იწყება. კვლევის მიზანი პრეპარატის ეფექტურობის განსაზღვრაა. ტესტირება ბოსტონში მდებარე ბრიგემის ქალთა საავადმყოფოში ჩატარდება. თუ ამ კლინიკური ცდების შედეგად ვაქცინის ეფექტურობა და უსაფრთხოება დადასტურდა, შესაძლოა, ეს დაავადების მკურნალობის არატოქსიკური მეთოდი გახდეს. პრეპარატი რისკის ქვეშ მყოფ ადამიანებს დაავადების პრევენციაში დაეხმარება. ახალი ვაქცინა იმუნოთერაპიული პრეპარატის – პროტოლინისგან შედგება, რომელიც ორგანიზმის იმუნურ სისტემას ასტიმულირებს. კლინიური ცდების პირველი ფაზა ექვს თვეს გაგრძელდება, რის შემდეგაც, მეორე ფაზა ჩატარდება და მასში 150 მოხალისე მიიღებს მონაწილეობას.

„დალტონიკებისთვის“ ჭოგრიტი დადგეს

აშშ-ში, ტენესის შტატში, ტურიზმის საბჭომ გადაწყვიტა, შემოდგომის ლამაზი ფერებით ტკბობაში დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებიც ფერებს ზუსტად ვერ აღიქვამენ. 12 სხვადასხვა ადგილზე, მათთვის სპეციალური ჭოგრიტები დააყენეს, რომლებიც EnChroma-ის ლინზებითა და ოპტიკური ფილტრებითაა აღჭურვილი. მისი საშუალებით, „დალტონიკებს“ შეეძლებათ, გარემო ჩვეულებრივ ფერებში აღიქვან. აღსანიშნავია, რომ ეს მოწყობილობა ჯერ კიდევ 2017 წელს შეიქმნა. ცნობილია, რომ დალტონიზმი რამდენიმე ტიპისაა: როცა დაქვეითებულია ან არ არსებობს წითელი, მწვანე ან ლურჯი ფერის აღქმა. შტატის ადმინისტრაციაში იმედოვნებენ, რომ ასეთი ჭოგრიტები გაამართლებს და „დალტონიკებისთვის“ მსგავს მოწყობილობას უფრო მეტ ადგილას განათავსებენ.

ხელოვნური ტვინი გამოზარდეს

ბრიტანელმა ნევროლოგებმა ადამიანის ტვინი კანის უჯრედებისგან გამოზარდეს. სამეცნიერო კვლევები კემბრიჯის ლაბორატორიაში მიმდინარეობდა. ამ ურთულესი ექსპერიმენტის ავტორი, ნეირობიოლოგი მედელინ ლანკასტერია. ტვინი უამრავი რაოდენობის ნეირონებისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სინაპსებით ანუ არსებობს ურთულესი ნეირონული ქსელი, რომლის შესწავლა თეორიულად შესაძლებელია. პრაქტიკული ცდებისთვის კი ლანკასტერმა მიკროსკოპული ტვინი გამოიყვანა. წარმატების მისაღწევად, მან კანის ნიმუშებისგან აღებული ღეროვანი უჯრედები გამოიყენა, რომელიც გარკვეული ვიტამინებითა და საკვები ნივთიერებებით დაამუშავა. შემდეგ კი მასალა ბიოგელში მოთავსდა გამოსაზრდელად. მართალია, ნეორობიოლოგის მიერ მიღებულ ტვინს არ აქვს შეგრძნებებისა და გრძნობების უნარი, თუმცა მიღებული მოდელი მეცნიერებას დაეხმარება, გულდასმით გაერკვნენ ისეთ პრობლემებში, როგორიცაა შიზოფრენია, აუტიზმი და სხვა ნევროზული აშლილობები.

გასაგრილებლად ლუდის ქურთუკი დაამზადეს

დიზაინერმა Izzy Du-მ უნიკალური ქურთუკი შექმნა, რომელიც ლუდით იბერება. ამ მოსაცმელს შეუძლია ადამიანი სიცხეში გააგრილოს – სხეულის ტემპერატურა 5 გრადუსით დაწიოს. ტანსაცმელი კრეატიულ სტუდია Whatever Co-სა და ლუდის სინგაპურელ მწარმოებელ თიგერ Beer-თან ერთად შეიქმნა. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ქურთუკის შიგნით წყლის მილებია მოთავსებული. ლუდის თუნუქის ქილები, რომლენიც ჯიბეებშია ჩამალული, აგრილებს წყალს და შედეგად, ადამიანის სხეულსაც. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტექნოლოგია გამოიყენება კოსმონავტების სკაფანდრებშიც.

გამოცდების გამო, ინტერნეტი გათიშეს

ინდოეთის რაჯასტანის შტატში დრობით გათიშეს მობილური ინტერნეტი, რათა სკოლის მასწავლებლობის მსურველთა ტესტირება პატიოსნად ჩატარებულიყო. დილის 06.00-დან 18.00 საათამდე, ონლაინი გაეთიშა დაახლოებით 8.5 მილიონ ადამიანს. Teacher Eligibility Test-ს წელს 1.5 მილიონი ადამიანი აბარებდა, ვაკანსია კი სულ 50 ათასი იყო. გამოცდაზე მასობრივ გადაწერებს რომ არ ჰქონოდა ადგილი, დაბლოკილი იყო მესინჯერები, ინტერნეტ-სერვისები და სოციალური ქსელები. შტატში მხოლოდ ხმოვანი ზარები იყო ნებადართული. ამის მიუხედავად, მასწავლებლობის ზოგიერთი მსურველი გადაწერას მაინც შეეცადა. პოლიციამ ხუთი ასპირანტი დააკავა, რომლებიც ტესტირებაზე „შლოპანცებში“ ჩამონტაჟებული ბლუთუზ-მოწყობილობებით გამოცხადდნენ. მსგავს ზომებს შტატში სხვა გამოცდების დროსაც მიმართავენ. იგივე სახით ებრძვიან გადაწერას ალჟირშიც – სკოლის გამოცდების დროს, ინტერნეტს მთელ ქვეყანაში თიშავენ.

კუნძული მხოლოდ მამაკაცებისთვის

იაპონიის კუნძული ოკინოსიმა, რომელიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შედის, მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ მოინახულონ, თანაც მხოლოდ დედიშობილებს შეუძლიათ მის მიწაზე ფეხის დადგმა. სუსტი სქესის წარმომადგენლებს, რაკიღა ისინი „უწმინდურებად“ ითვლებიან, კუნძულზე გადასვლა ეკრძალებათ. გაშიშვლების ტრადიცია კი ძველი რიტუალის – „მისოგის“ ნაწილია, რომელიც განწმენდისთვისაა საჭირო, ვიდრე ღვთაება მიკოტოს წინაშე წარსდგებიან.

„დე“-ვიტამინის ნაკლებობა შიზოფრენიას იწვევს

დანიელმა და ავატრალიელმა სწვლულებმა დაადგინეს, რომ დაბადებისთანავე „დე“-ვიტამინის უკმარისობა შიზოფრენიის განვითარების მომატებულ რისკს იწვევს. ბავშვებს, რომლებიც ამ ვიტამინის მინიმუმით დაიბადნენ (20.4 ნანომოლზე ნაკლები ლიტრზე), მომავალში, შიზოფრენიის განვითარების რისკი 44%-ზე მაღალი ჰქონდათ. ამის დასადასტურებლად, სწავლულებმა 2602 ადამიანის მონაცემები გააანალიზეს, რომლებიც 1981-2000 წლებში დაიბადნენ. მათგან ნახევარი ფსიქიკურად დაავადებული იყო, ნახევარი კი საკონტროლო ჯგუფში შევიდა. სპეციალისტებმა გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სქესი, ასაკი, დაბადების თარიღი, ოჯახში ფსიქიკური დაავადებები, მშობლების ასაკი დაბადებისას, წონა და გარემო პირობები. გამოსაკვლევად აიღეს გენეტიკური მასალაც. შედეგად აღმოჩნდა, რომ „დე“-ვიტამინის დეფიციტით დაბადებული ახალშობილები, მოზრდილ ასაკში სხვებზე მეტად ავადდებოდნენ შიზოფრენიით.

თავზე დაცემულმა ძროხამ მოკლა

ბრაზილიაში, ქალაქ კარატინგას მცხოვრები მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც თავზე ძროხა დაეცა. 45 წლის ჟოან მარია დე სოუზას ეძინა, როცა საბალახოდ გასული ძროხა მისი სახლის სახურავზე ავიდა. ჭერი მოულოდნელად ჩაინგრა და პირუტყვი მძინარე ადამიანს თავზე დაეცა. მაშველებმა დაზარალებული მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მიყენებული დაზიანებებისგან, ის მეორე დღეს გარდაიცვალა. ოფიციალურად, სიკვდილის მიზეზად შინაგანი სისხლდენა დასახელდა. ოჯახის წევრები კი დე სოუზას სიკვდილში მედპერსონალს სდებენ ბრალს, დროული დახმარება არ აღმოუჩინესო. აღსანიშნავია, რომ ეს უკვე მესამე მსგავსი შემთხვევაა რეგიონში, ბოლო სამი წლის განმავლობაში. ერთხელ, როდესაც ძროხა სახურავიდან სახლში ჩავარდა, იქ არავინ იყო; მეორედ კი პირუტყვი, საბედნიეროდ, მძინარე ბავშვების გვერდით „დაფრინდა“ და ისინი სასწაულებრივად გადარჩნენ.

„მატყუარა“ წნევას არეგულირებს

მეცნიერებმა ახალი „მოწყობილობა“ შექმნეს, რომელიც გარეგნულად ბავშვის საწოვარას – „მატყუარას“ მოგვაგონებს. მისი საშუალებით, ზრდასრული ადამიანები თავბრუსხვევასა და გულის წასვლას გაუმკლავდებიან. როგორც ბრიტანული მედია წერს, თავბრუსხვევის პირველივე ნიშნებისას, „საწოვარა“ პირში უნდა ჩაიდოთ და ის ტვინისთვის სისხლის მიწოდებას გააძლიერებს. ეს უცნაური სამედიცინო „მოწყობილობა“ სუნთქვის გაძნელების ხარჯზე მუშაობს. როცა ადამიანი ამ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ორგანიზმი სისხლს გულისა და თავის ტვინისკენ გზავნის. მიუხედავად სუნთქვის გაიშვიათებისა, ადამიანს ხუთვა არ ეწყება. ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „საწოვარა“ 50%-ით არეგულურებს არტერიულ წნევას. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად ისიც დადგინდა, რომ „მატყუარა“ მომხმარებელში უკუჩვენებას არ იწვევს.

ვნებს თუ არა მაღალი ქუსლები?

რამდენჯერ უთქვამთ, რომ მაღალი ქუსლი ზიანის მომტანია ჩვენი ფეხებისთვის? თუმცა, როგორც ჩანს, ყოვლისმცოდნე ექსპერტებმა ამ საკითხთან დაკავშირებით, აზრი შეიცვალეს. ამერიკელი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ფეხებს ზიანს მაღალი ქუსლი კი არა, პირიქით, სწორი ძირი აყენებს. ზოგიერთი სპეციალისტი უკვე ურჩევს ხალხს, ქუსლიანი ფეხსაცმელი შეიძინოს, თუ უნდათ, ჯანმრთელი ფეხები ჰქონდეთ. ვერავინ უარყოფს, რომ სწორძირიანი ფეხსაცმელი ძალიან მოსახერხებელია, მაგრამ შეიძლება, ის ტერფისა და ზურგის ტკივილის, მაზოლების გაჩენისა და ართრიტის მიზეზიც კი გახდეს. ოკეანისგაღმელი ორთოპედები შეშფოთებულები არიან ბრტყელლანჩიანი ფეხსაცმლით გამოწვეული პრობლემების გამო. მათი მოსაზრებით, ასეთი ფეხსაცმლით სიარული ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შემდეგ უსიამოვნებებს იწვევს: მახინჯდება სიარულის მანერა; ხელს უწყობს ტერფების შიგნით შებრუნებას, რაც მყესების დაჭიმვის მიზეზი ხდება; ტერფების შებრუნება მუხლებსაც „ითრევს“, რამაც შესაძლოა, მათი ანთება და ტკივილი გამოიწვიოს. ამ მოვლენას კი ართრიტამდე მივყავართ. სპეციალისტების მტკიცებით, ქუსლის იდეალური სიმაღლე 2.5 სმ-ია. იტალიელმა მეცნიერებმა კი დაასკვნეს, რომ ქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება დადებით გავლენას ახდენს ქალის სექსუალურ ჯანმრთელობაზე.

ბოსტნეულის შიში ცხოვრებას ურთულებს

ბრიტანელი სტუდენტი გოგონა, ვიკი ლარიე აცხადებს, რომ ბოსტნეულის მიმართ პათოლოგიური შიში არ აძლევს საშუალებას, ჯანმრთელი კვების პრინციპები დაიცვას. როგორც 22 წლის ლარიე ამბობს, რომ ბოსტნეულის დანახვის დროსაც კი, პულსი უჩქარდება, ოფლი ასხამს და პანიკაში ვარდება. გოგონას ასეთი შეტევები ბავშვობიდან აწუხებს. ბოსტნეულის მიმართ ზიზღს ბევრი ბავშვი განიცდის, რაც იმითაა გამოწვეული, რომ პატარებს სტაფილოს, ან კომბოსტოს გემო არ მოსწონთ. თუმცა, ვიკის შემთხვევაში, საქმე გვაქვს ლახანოფობიასთან – ბოსტნეულის მიმართ ირაციონალურ შიშთან. სტუდენტის თქმით, ამ ფობიის გამო, ხორცით, ხილითა და მარცვლეულით იკვებება, ეს შიში უშლის ხელს, წავიდეს რესტორანში ან სუპერმარკეტში. როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, ლახანოფობია რამდენიმე ათას ბრიტანელს ტანჯავს. ზოგ შემთხვევაში, ბოსტნეულის ფოტოებიც კი შეტევას იწვევს.

ყველაზე სულელური სასამართლო სარჩელები

ბოლო დროს, მსოფლიოში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს გამდიდრების ახალი ფორმა – ადამიანებს მრავალმილიონიანი სარჩელები შეაქვთ მსხვილი თუ მცირე კომპანიების, ტელევიზიების, პრესის წინააღმდეგ. ზოგიერთებმა, ლამის, უფალ ღმერთსაც კი უჩივლონ... საქმის აღძვრის მიზეზი, შესაძლოა, სულაც თითიდან გამოწოვილი იყოს. ზოგიერთ ასეთ სარჩელს ჩვენც გაგაცნობთ.

პენსილვანის ქალაქ ქალაქ ჟანეტში მცხოვრებ პატრისია ფრენკჰაუზერს ძალიან უყვარდა ყურსასმენებით მუსიკის მოსმენა და რკინიგზაზე სეირნობა. ერთ-ერთი ასეთი სეირნობისას, ქალს მატარებელი დაეჯახა. პატრისიას გაუმართლა და ის გადარჩა. საავადმყოფოდან გამოსულმა კი სარკინიგზო კომპანიას უჩივლა – არსად იდგა გამაფრთხილებელი ნიშნები, რომ რკინიგზაზე მატარებლები მოძრაობენო.

35 წლის ავსტრალიელმა ქალმა ბუნებრივი მოთხოვნილება ვერანდაზე დაიკმაყოფილა და უბედურებაც ამ დროს შეემთხვა. საქმროსთან სტუმრად მყოფმა ქალმა დალია და ტუალეტში წასვლას, ვერანდაზე გასვლა ამჯობინა, რომელსაც გარშემო მოაჯირი არ ჰქონდა. ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას, უკანალმა გადაწონა, ქალი ძირს ჩავარდა და ღობეს დაეცა. შედეგად, სწორი ნაწლავის, ინტიმური ადგილებისა და შარდის ბუშტის მძიმე ტრავმები მიიღო. კლინიკიდან გამოსულმა ქალმა უკვე ყოფილ საქმროს უჩივლა – ვერანდა ცუდად იყო განათებული და არც მოაჯირი ჰქონდაო.

ამერიკული სკოლის ერთმა მოსწავლემ გაკვეთილზე გართობა გადაწყვიტა – ორი მავთული აიღო და მკერდზე მიიერთა, ბოლოები კი მისმა მეგობარმა, მისივე თანხმობით, დენის წყაროში შეაერთა. ძაბვამ ბიჭი არ მოკლა, მაგრამ მის ორგანიზმს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა, დაუზიანდა თავის ტვინი (თუ ასეთი ჰქონდა, საერთოდ). ამ „ჭკვიანი“ ბიჭის მშობლებმა კი სასამართლოში მასწავლებელსა და სკოლის ადმინისტრაციას უჩივლეს – მათ მოსწავლე არ გააფრთხილეს, რომ ფიზიკის კაბინეტში, ელექტრო-მოწყობილობები მას საფრთხეს უქადდა.

ერთმა რუმინელმა პენსიონერმა ბუქრესტიდან, ჟორჟი ვიციანუმ გადაწყვიტა, ესარგებლა მომსახურებით – „სექსი ტელეფონით“. თუმცა, ამ სატელეფონო მეძავების საუბრები იმდენად მოსაწყენი აღმოჩნდა, რომ მოხუცს მათი მოსმენისას ჩაეძინა. გოგონები კი დროს ტყუილად არ კარგავდნენ და ყურმილთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. შედეგად, ბატონ ვიციანუს 1425 დოლარის გადასახადი მიუვიდა – ეს ზუსტად მის წლიურ პენსიას შეადგენდა. გაოგნებულმა მოხუცმა სასამართლოს მიმართა, მაგრამ იქ მას დავალიანების გადახდა დააკისრეს და ზუსტად ამდენივე თანხით დააჯარიმეს სექს-ტელეფონის მფლობელები – „უხარისხო“ მომსახურებისთვის.

კიდევ ერთმა ქალბატონმა 10-მეტრიანი ტრაილერი – „სახლი ბორბლებზე“ შეიძინა და პირველ დამოუკიდებელ მოგზაურობაში გაემგზავრა. ტრასაზე მოძრაობისას, მან კრუიზ-კონტროლი (ავტო-პილოტის მსგავსი) ჩართო და თავად „სახლის“ სამზარეულოში, სენდვიჩების მოსამზადებლად გავიდა. ტრაილერი, რასაკვირველია, გზიდან გადავიდა, ხეს შეეჯახა და ამოყირავდა. მიუხედავად საკუთარი უგუნურებისა, ქალმა მანქანის მწარმოებელს უჩივლა – ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში არაფერი წერია იმის შესახებ, რომ კრუიზ-კონტროლის ჩართვისას, საჭე არ უნდა მიატოვოო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ამ იდიოტის მხარე დაიჭირა და მწარმოებლებს მილიონ 750 ათასი დოლარის კომპენსაცია დააკისრა. ავტომწარმოებელმაც სასწრაფოდ შეიტანა ექსპლოატაციის სახელმძღვანელოში შესწორება, რადგან სასამართლომ ქალს ახალი „სახლი ბორბლებზეც“ მიაკუთვნა.

ილინოისელი ადვოკატის შვილებმა – 23 წლის ვაჟმა და 20 წლის ქალიშვილმა, მამის წაქეზებით, საკუთარი დედის წინააღმდეგ შეიტანეს სასამართლოში სარჩელი და ის დედობრივი მოვალეობების არასაკმარისად შესრულებაში დაადანაშაულეს. გაინტერესებთ, რა წერია სარჩელში? მაგალითად, დედამ ბიჭს მისალოცი ბარათი გაუგზავნა, მაგრამ არ გაიმეტა მისთვის ცოტა სახარჯი ფულიც მიეყოლებინა; დედა ქალიშვილს წაეჩხუბა საღამოს კაბის მაღალი ფასის გამო და აიძულა, ის მაღაზიაში დაებრუნებინა; დედამ ღამის კლუბში, საცეკვაოდ წასული ქალიშვილი აიძულა, სახლშ შუაღამემდე დაბრუნებულიყო... ეს „მორალური ზიანი“ შვილებმა მოკრძალებულ 1.5 მილიონ დოლარად შეაფასეს. ამ „საწყალ და ღარიბ“ ბავშვებს, რომლებიც დედის მხრიდან ასეთ „სასტიკ“ ძალადობას განიცდიდნენ, მამის გარდა, სასამართლოში კიდევ ორი ადვოკატი იცავდა. საბედნიეროდ, თემიდა გონიერი აღმოჩნდა და ეს უაზრო სარჩელი წარმოებაში არ მიიღო.

27 წლის ამერიკელი მამაკაცი ავარიაში მოჰყვა – უკნიდან, მის მანქანას მძიმეტონიანი სატვირთო დაეჯახა. საბედნიეროდ, ახალგაზრდას უმნიშვნელო ტრავმები აღმოაჩნდა და ინციდენტში მონაწილეებიც ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ, ფინანსური მხარე კი სადაზღვევო კომპანიებს მიანდეს. თუმცა, ოთხი წლის შემდეგ, მამაკაცმა სასამართლოს მიმართა და სატვირთოს მძღოლს უჩივლა. განცხადებაში ამერიკელი წერდა, რომ ავარიამ მისი პიროვნება შეცვალა – ის გეი გახდა. მას ჯერ ცოლთან გაუფუჭდა ურთიერთობა, რადგან ინტიმურ ურთიერთობას ვეღარ ახერხებდა. მეუღლესთან დაშორების შემდეგ, ის მშობლებთან გადავიდა საცხოვრებლად, გეი-ბარებში დაიწყო სიარული და ჰომოსექსუალურმა ლიტერატურამ გაიტაცა. ვერდიქტი გაინტერესებთ? სასამართლომ ამ ახალგაზრდას მხარე დაიჭირა და 200 ათასი დოლარის კომპენსაციაც მიაკუთვნა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.